პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 235 (13320) | სამშაბათი, 5 ოქტომბერი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია 1965 წლის 19 ოქტომბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1965 წლის 4 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანა. სურათზე (მარცხნიდან): ამწყობი რ. გაბოძე, ოსტატი ო. დავითაშვილი, ზეინკალი ს. ცხოვრებაშვილი ამოწმებენ 163 მოდელის სახარატო-ხრახნსაჭრელი ჩარხის აწყობის ხარისხს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

დიდმნიშვნელოვანი ეტაპი
სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში

პარტიამ, ყველა საბჭოთა ადამიანმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილება. ცნობას პარტიის მორიგი XXIII ყრილობის მოწვევის შესახებ, მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს, ყველგან დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ.

პარტიის მიერ დასახულ ღონისძიებათა საყოველთაო-სახალხო მოწონების მკაფიო გამოხატულება იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია, რომელმაც ახლახან დაამთავრა მუშაობა. სესიის ტრიბუნიდან მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, სამრეწველო ცენტრებისა და სასოფლო რაიონების. ჩვენი ქვეყნის მრავალი ოლქის, საწარმოების, მშენებლობების, კოლეგიურნეობების, საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები გამოთქვამენ თავიანთ აზმირჩევლთა. მილიონობით საბჭოთა ადამიანის ფიქრებს, გრძნობებს, წინადადებებსა და შენიშვნებს. დეპუტატების ხმა მთელი ჩვენი ხალხის ხმაა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ერთხმად მიიღო კანონი მრეწველობის მართვის ორგანოების სისტემის შეცვლისა და სახელმწიფო მართვის ზოგიერთი სხვა ორგანოს გარდაქმნის შესახებ. უმაღლესმა საბჭომ დაადგინა, შეიქმნას სსრ კავშირის მთელი რიგი საერთო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები. ასეთ სამინისტროებად გარდაიქმნება ზოგიერთი სახელმწიფო კომიტეტები. უქმდება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭო, სახალხო მეურნეობის რესპუბლიკური საბჭოები და ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები. მიღებულია კანონი სსრ კავშირის კონსტიტუციის ტექსტში შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

რა არის ამ ცვლილებათა არსი? ის, რომ მრეწველობის მართვა ეწყობა დარგობრივი პრინციპის მიხედვით. ეს შეესაბამება ჩვენი ინდუსტრიის განვითარების ობიექტურ ტენდენციას, რომელიც ამით გამოიხატება, რომ მასში სულ უფრო მკვეთრად არის გამიჯნული წარმოების ცალკეული დარგები და მათი თავისებურებანი. ტერიტორიული პრინციპის მიხედვით მართვა აბრკოლებდა დარგობრივი სპეციალიზაციისა და სხვადასხვა ეკონომიურ რაიონში მდებარე საწარმოთა რაციონალური ურთიერთობის განვითარებას, აშორებდა მეცნიერებას წარმოებას, იწვევდა მრეწველობის დარგების ხელმძღვანელობის დაქსაქსულობასა და მრავალსფეხურიანობას, მუშაობაში ოპერატიულობის დაკარგვას.

დარგობრივი სამმართველო საშუალებას მოგვცემს უკეთ უზრუნველვყოთ ერთიანი ტექნიკური და ეკონომიური ხელმძღვანელობა, უფრო რაციონალურად გავანაწილოთ და გამოვიყენოთ მუშები და სპეციალისტები, უფრო სწრაფად და ეფექტიანად დავნერგოთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები.

PRAVDA
4 ოქტომბრის მოწოდებიდ

სამინისტროები, მინისტრები პარტიის, სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხის წინაშე სრულ პასუხს აგებენ იმ დარგების მუშაობისათვის, რომლებსაც ისინი მეთაურობენ. ისინი პასუხს აგებენ მრეწველობის წარმატებით განვითარებისათვის, მისი ტექნიკური დონისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის უზრუნველყოფისათვის ტექნიკურად სრულყოფილი და დიდი წარმადობის მანქანებით, მოწყობილობით და ხელსაწყოებით, მაღალხარისხოვანი ნედლეულითა და მასალებით, მოსახლეობის მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის ხარისხიანი საქონლით. დასახული ამოცანები წარმატებით რომ გადაჭრან, სამინისტროებს უნდა ჰქონდეთ უმაღლესი ძალაუფლება თავიანთ დარგში, იყვნენ მთავრობის ნამდვილი ორგანოები.

ამასთან ერთად დარგობრივი პრინციპის მიხედვით მრეწველობის მართვის სისტემის შემოღება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მექანიკურად დავუბრუნდეთ ძველ, სახალხო მეურნეობის საბჭომდე არსებულ სისტემას. საქმე ეხება დარგობრივ მართვას დაგეგმვის ახალი პრინციპების საფუძველზე და საწარმოთა ეკონომიური საქმიანობის შეფასებას როგორც მართვისა და დაგეგმვის ცენტრალიზაციის განვითარების, ისე საწარმოთა ოპერატიული დამოუკიდებლობის გაფართოების საფუძველზე. ახლად შექმნილი სამინისტროები იმუშავებენ ისეთ პირობებში, როცა მნიშვნელოვნად ფართოვდება საწარმოთა უფლებები, იზრდება ეკონომიური სტიმულების როლი წარმოების განვითარებაში. იზრდება კოლექტივებისა და თვითეული მუშის, ოსტატის, ტექნიკოსის, ინჟინრის, მოსამსახურის დინტერესება ძირითადი და საბრუნავი ფონდების უკეთ გამოყენებით, ახალი ტექნიკის დანერგვით, შრომის ნაყოფიერების, რენტაბელობის გადიდებით და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით. სამინისტროებმა სწორად უნდა შეუხამონ ერთმმართველობა კოლეგიალობას, განვითარონ დემოკრატიული საფუძვლები წარმოების მართვაში, აღკვეთონ წვრილმანი მეურვეობა საწარმოებისადმი. რაც ახასიათებდა წინანდელ სამინისტროებს. სამინისტროები მოწოდებული არიან გახდნენ დიდადგანვითარებული სამრეწველო წარმოების ნამდვილი ორგანიზატორები. მათი ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით აამაღლონ და განამტკიცონ სახელმწიფო დისციპლინა, უზრუნველყონ სანიმუშო წესრიგი და მაღალი კულტურა საწარმოთა საქმიანობაში. არ შეიძლება, რომ სამინისტროების, სამმართველოების, გაერთიანებებისა და სხვა სამეურნეო ორგანოების მუშაობის სტილსა და მეთოდებში შეიჭრას უპასუხისმგებლობა, საქმის გაჭიანურება, ბიუროკრატიზმი.

მრეწველობის მართვის გაუმჯობესება, მეურნეობის ხელმძღვანელობაში ეკონომიური მეთოდების გაძლიერება ზრდის მოთხოვნებს საგეგმო ორგანოებისადმი. ახალ პირობებში იზრდება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის როლი როგორც მთავრობის ორგანოსი, რომელიც პასუხს აგებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითად მიმართულებათა და პრობლემათა შემუშავებისათვის, მეცნიერულად დასაბუთებული გეგმების შედგენისა და მათი შესრულების შემოწმებისათვის.

საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროების, აგრეთვე სამმართველოებისა და სამეურნეო გაერთიანებების მეშვეობით მრეწველობის მართვის ახალი სისტემა შეესაბამება სსრ კავშირის როგორც საკავშირო სახელმწიფოს წყობილების პრინციპებს. ახალი სისტემის დროს კარგად იქნება შეხამებული ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა მოკავშირე რესპუბლიკების. ადგილობრივი ორგანოებისა და საწარმოების ინიციატივის განვითარებასთან.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება მოკავშირე რესპუბლიკებისათვის დაგეგმვის, კაპიტალური მშენებლობის, დაფინანსების, შრომისა და ხელფასის დარგში ახალი უფლებების მინიჭებისა შესახებ. მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობები დამოუკიდებლად გადაწყვეტენ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენებასა და მშენებლობასთან. ისინი განიხილავენ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მიერ შემუშავებულ გეგმებს საწარმოების მიხედვით. ახალი საწარმოების დაპროექტების, რესპუბლიკების ტერიტორიაზე მდებარე მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების დავალებებს, აგრეთვე წარმოების განვითარებისა და განლაგების სქემებს. ამრიგად, სამეურნეო მართვაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის თანმიმდევრულად გამოყენება გულისხმობს რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების როლის ამაღლებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხების გადაჭრაში.

საქმე ახლა ის არის, რომ მართვის ახალი სისტემის შემოღება ორგანიზებულად მოხდეს. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, აგრეთვე დარგობრივმა სახელმწიფო კომიტეტებმა მათთვის დაკისრებული მოვალეობანი მანამდე უნდა შეასრულონ, სანამ არ შეიქმნება სამინისტროები და სანამ ისინი საკუთარ ხელში არ აიღებენ საწარმოთა მართვას. უნდა უზრუნველვყოთ მრეწველობის შეუფერხებელი მუშაობა, წლიური გეგმის წარმატებით შესრულება. ამისათვის ყველა შესაძლებლობა გვაქვს. ახლა მთელ ჩვენს ქვეყანაში იზრდება შრომითი აღმავლობა, ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

მრეწველობის ხელმძღვანელობის დარგობრივი პრინციპის შემოღება და ეკონომიური ბერკეტების გაძლიერება წარმოების განვითარებაში კიდევ უფრო აამაღლებს რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ქალაქების, რაიონებისა და საწარმოების პარტიულ ორგანიზაციათა როლს ეკონომიკის ზრდის სწრაფი ტემპისათვის ბრძოლაში. იზრდება პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საწარმოთა და სამეურნეო ორგანოთა მუშაობისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სახელმწიფო დავალებების შესასრულებლად. პარტიულმა კომიტეტებმა კი არ უნდა გასწიონ სამეურნეო ხელმძღვანელობა მაგივრობა, არამედ მოვალენი არიან მთავარი ყურადღება მიაქციონ ორგანიზატორულ მუშაობას, კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას, კონტროლს პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი. მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა ზუსტი და ორგანიზებული განხორციელება ხელს შეუწყობს ჩვენი ინდუსტრიის სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ მძლავრ აღმავლობას. მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებას, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო მტკიცე წინსვლას.



რიონჰესელთა დიდი გამარჯვება

ქუთაისი. (საკ. კორ.). რიონჰესის კასკადის ენერგეტიკოსებმა, რომლებიც მოძმე სომხეთის ქვემო რაზდანის კასკადის, აგრეთვე ხრამჰესელ და ტყიბულჰესელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს. კასკადის კოლექტივმა 20 სექტემბრისათვის 2 მილიარდ 145 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია გამოუშვა, რითაც შვიდწლედის დავალებას 2 მილიონი კილოვატსაათით გადაჭარბა.

ქუთაისელი ენერგეტიკოსები შვიდწლედის დასაწყისიდანვე უწუნოდ და უავარიოდ მუშაობენ. მარტო მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მათ საკუთარ მოხმარებაზე 6 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია დაზოგეს, ვადაზე 105 საათით ადრე გამოუშვეს კაპიტალური რემონტიდან ორი აგრეგატი, მაღალხარისხოვნად შეაკეთეს აგრეთვე ძალოვანი ტრანსფორმატორები.

რიონჰესელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წლის ბოლომდე კიდევ დამატებით მისცენ სამშობლოს 80 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რითაც ღირსეულად შეხვდებიან სკკპ XXIII ყრილობას.

ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ი. კადარს

4 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. იანოშ კადარს, რომელიც მონღოლეთიდან საბჭოთა კავშირში ბრუნდება და გზად მოსკოვში იმყოფება.

საუბრის დროს, რომელმაც ძმური მეგობრობა, გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს ორივე პარტიისათვის საინტერესო საკითხები, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა. (საკდესი).

ჩვენს ღიად საუბარში

მომავალი ვიზიტები

საბჭოთა კავშირის მთავრობამ დანიის პრემიერ-მინისტრი ე. ო. კრაგი საბჭოთა კავშირში მოიწვია. პრემიერ-მინისტრი მადლობით დაეთანხმა მოწვევას.

შეთანხმების შესაბამისად ვიზიტი გაიმართება 1965 წლის 7-18 ოქტომბერს.

გრატსკის მეჩვიდმეტე აგრეგატი

ბრატსკი. (საკდესის კორ.). დაიწყო ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის მორიგი მეჩვიდმეტე აგრეგატის ტურბინის, როტორისა და სტატორის აწყობა. ეს აგრეგატი მიმდინარე წლის დეკემბერში ამუშავდება.

ახალი ელექტრომანქანის ამუშავებით ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე სამ მილიონ 825 ათას კილოვატამდე გაიზრდება.

ოდიბო კეიტა მოსკოვში ჩამოვიდა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვეებით 4 ოქტომბერს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა პარტია სუდანის კავშირი—აფრიკის დემოკრატიული გაერთიანების გენერალური მდივანი, მალის რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე მოდიბო კეიტა.

ორი მეგობარი ქვეყნის ალმებით მორთულ ენუკოვოს აეროდრომზე სპასტიო სტუმარს შეხვდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ი. მიკოიანი, ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო სპასტიო ყარაული, შესრულებულ იქნა მალის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აფრიკის თვალსაზრისო სახელმწიფო და პარტიულ მოღვაწეს შეხვდნენ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. (საკდესი).

კომინტერნის VII კონგრესის 30 წლისთავი

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. (საკდესის კორ.). დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიხსნა კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია. იგი მოიწვიე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიამ.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა.

მოხსენება „კომუნისტური ინტერნაციონალის VII კონგრესის ისტორიული მნიშვნელობა და თანამედროვე კომუნისტური მოძრაობა“ წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. მ. რუმიანცევმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საგეგმო კომიტეტის პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სამხედრო მფრინავებისა და შტურმანების ჯგუფს მიენიჭა „სსრ კავშირის დამსახურებული სამხედრო მფრინავისა“ და „სსრ კავშირის დამსახურებული სამხედრო შტურმანის“ საპატიო წოდება. ეს წოდებანი მათ მიენიჭათ განსაკუთრებული დამსახურებისათვის საჰაიაცი ტექნიკის ათვისებაში, მაღალი მაჩვენებლებისათვის მფრინავთა კადრების აღზრდასა და სწავლებაში და მრავალი წლის უავარიო მუშაობისათვის სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ავიაციაში.

4 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა სახელგანთქმულ მფრინავებსა და შტურმანებს გადასცა სიგელები და სამკერდე ნიშნები მათთვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

დაჯილდოებულთა სახელით ავიაციის მარშალმა ე. ი. სავიცკიმ და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკმა ა. ა. მირონენკომ მხურვალე მადლობა გადაუხადეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს იმის გამო, რომ ისინი მამობრივად ზრუნავენ საბჭოთა ავიაციის განვითარებისა და მისი კადრებისათვის, იმის გამო, რომ დიდად დააფასეს მათი საქმიანობა.

ა. ი. მიკოიანმა გულითადად მიულოცა სამხედრო მფრინავებს საპატიო წოდებათა მინიჭება, უსურვა მათ ჯანმრთელობა, ახალი წარმატებანი საბრძოლო ტექნიკის ათვისებასა და მფრინავთა კადრების აღზრდაში.

(საკდესი).

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲚᲣᲜᲐ-7“

საკდესის ცნობა

კოსმოსური კოსმოსური ფრენისა და მზის სისტემის პლანეტების კვლევის პროგრამის შესაბამისად 1965 წლის 4 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაშვებულია რაკეტა მთვარისაკენ.

კოსმოსურ რაკეტაზე დადგმულია ავტომატური სადგური „ლუნა-7“. სადგური იწონის 1506 კილოგრამს, აღჭურვილია საზომი აპარატურით მეცნიერული კვლევებისათვის.

გაშვება განხორციელდა მრავალსაფეხურიანი რაკეტის საშუალებით. რაკეტის უკანასკნელი საფეხური წინასწარ იყო გაყვანილი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შუალედურ ორბიტაზე, ხოლო შემდეგ გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად მან ავტომატური სადგური გაიყვანა მთვარისაკენ მოძრაობის ტრაექტორიაზე.

გასაზომი ტელემეტრიული და მეცნიერული აპარატურის ჩართვა ხდება ავტომატურად, გეფრენის პროგრამის შესაბამისად, აგრეთვე დედამიწიდან მიღებული რადიოკომანდით.

ავტომატური სადგურის „ლუნა-7“-ის ფრენაზე დაკვირვება, მისი ტრაექტორიის პარამეტრების განსაზღვრა, სამეცნიერო ინფორმაციის მიღება დედამიწაზე ხორციელდება სპეციალური საზომი კომპლექსით. ავტომატური სადგური „ლუნა-7“ მოძრაობს ტრაექტორიით, რომელიც უახლოვდება ჯანგარიშებულს.

1965 წლის 4 ოქტომბრის 17 საათზე მოსკოვის დროით სადგური „ლუნა-7“ იყო დედამიწიდან 67.300 კილომეტრზე დედამიწის ზედაპირის იმ წერტილის თავზე, რომლის კოორდინატებია აღმოსავლეთის გრძედის 113 გრადუსი და 2 მინუტი და ჩრდილოეთის განედის 13 გრადუსი და 20 მინუტი.

ავტომატურ სადგურ „ლუნა-7“-ზე დადგმული მთელი აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მთელ მიღებულ ინფორმაციას.

შრომითი რეზერვების სახელოვანი 25 წლისთავი

საზეიმო კრება კრემლის ყრილობათა სასახლეში

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო სისტემა 25 წლისაა. ამ თარიღს მიეძღვნა 2 ოქტომბერს მოსკოვში გამართული საზეიმო კრება.

კრების პრეზიდიუმში იჯდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. დემიჩევი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ო. ფ. დემენტიევამ. სალაბიო პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

ამხ. ბ. ნ. დემიჩევმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო სისტემის მოსწავლეებისადმი, ოსტატებისა და მასწავლებლებისადმი, ყველა მუშაკისადმი:

„ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მოგესალმებიან და გილოცავენ თქვენ და პროფესიულ-ტექნიკური სახსწავლებლების ყველა მოსწავლეს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო სისტემის ორგანიზაციის 25 წლისთავს.

კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილმა სსრ კავშირის სახელმწიფო შრომითმა რეზერვებმა დიდი როლი შეასრულეს სახალხო მეურნეობის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცების საქმეში. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მომზადდეს 15 მილიონზე მეტი ახალგაზრდა მუშა 25 წლის მანძილზე შეემატა გმირი მუშათა კლასის რიგებს, გახდა უფროსი თაობის ღირსეული ცვლა.

ბევრმა შესანიშნავმა შრომის მოწინავემ, რაციონალიზატორმა და გამომგონებელმა, წარმოების ნიჭიერმა ორგანიზატორმა, რომლებმაც ჩვენი ხალხის დიდი პატივისცემა დაიმსახურეს, პირველი შრომითი წვრთნა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში გაიარა.

საბჭოთა ხალხს მუდამ ეხსომება სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეთა შრომითი გმირობა დიდი სამამულო ომის პერიოდში, როცა წარმოებაში შეცვალეს ფრონტზე წასული მამები და უფროსი ძმები. ჩვენი სამშობლოს ისტორიაში უკვდავი ფურცლები ჩაწერეს იური სმირნოვმა, ვიქტორ ტალალიხინმა და შრომითი რეზერვების სხვა აღზრდილებმა, რომლებმაც სიცოცხლე გასწირეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. და დღეს, მშვიდობიან პირობებში, ქარხნებსა და ფაბრიკებში, ახალშენებლობებზე და სოფლის მეურნეობაში — ყველგან, სადაც ხალხი ქმნის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, თავდადებულად შრომობენ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და სკოლების აღზრდილები.

ახლა, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა დასახა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარების, ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, ახალი, უფრო დიდი მოთხოვნები დგას პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთელი სისტემის წინაშე. ყოველი ღონისძიებით უნდა ავამაღლოთ ახალგაზრდობის პროფესიული სწავლების დონე, გადაჭრით გავაუმჯობესოთ სახალხო მეურნეობისათვის საჭირო კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების ხარისხი და გავადიდოთ მათი გამოშვება.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები უნდა ამზადებდნენ მაღალი შეგნების ახალგაზრდა მუშებს, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე ცოდნა და დიდი პროფესიული ოსტატობა, უნდა ზრდიდნენ კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური სამშობლოს ერთგულ, მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინავე იდეების სულისკვეთებით გამსჭვალულ, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულ ახალგაზრდა მუშებს.

ახალგაზრდობისათვის დიდი ნდობა და პატივია იყოს საბჭოთა ხალხის სახელოვან ტრადიციათა მემკვიდრე, განაგრძოს თავისი დედებისა და მამების წმიდათაწმიდა საქმე კომუნისტური საზოგადოების აშენებაში. ქალაქებში და ჭაუკები, რომლებიც იწყებენ შრომითს ცხოვრებას, წმიდად უნდა იცავდნენ და ამრავლებდნენ მუშათა კლასისა და საყოლმეურნეო გლეხობის რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს, უყვარდეთ და პატივს სცემდნენ შრომას, ამაყობდნენ მუშის პროფესიით, იყონ დისციპლინირებული და თავმდაბალნი, მუდამ ახლოვდეთ თავიანთი მოვალეობანი საზოგადოების წინაშე.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში შრომობს ოსტატთა, მასწავლებელთა და აღზრდელთა დიდი რაზმი, რომლებსაც პარტიამ დაავალა მუშაობის კეთილსინდისიერი და პასუხსაგები უბანი — მომზადონ მშრომელი ხალხის ახალგაზრდა ცვლა. საწარმოო სწავლების ოსტატთა, მასწავლებელთა, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ყველა მუშაკთა უშუალო მოვალეობაა ბეჭითად ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, სრულყოფდნენ თავიანთ პედაგოგიურ ოსტატობას, სწავლობდნენ მოწინავე ტექნიკას და წარმოების ტექნოლოგიას, უზიარებდნენ თავიანთ გამოცდილებასა და ცოდნას მოსწავლეებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეები, საწარმოო სწავლების ოსტატები და მასწავლებლები, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო სისტემის მუშაკები კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიიღწევენ სწავლასა და შრომაში, თავიანთ წვლილს შეიტანენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში“.

საზეიმო კრებაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ა. ბულგაკოვმა.

უპატაკებენ სამშობლოს

საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ბოლაშვილმა გუშინ ტელეფონით რედაქციას აცნობა, რომ ოქტომბერს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. სახელმწიფოს მიეყიდა ხორცი 16.296 ცენტნერი ნაცვლად 14.530 ცენტნერისა, მატყლი — 3.289 ცენტნერი ნაცვლად 3.108 ცენტნერისა, კვერცხი — მილიონ ცამეტი ათასი ცალი ნაცვლად ერთი მილიონი ცალისა.

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ბონაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. შანშიაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. ხუციურაშვილმა რედაქციას აცნობეს, რომ რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს ხორცი — 1.504 ტონა ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 1.356 ტონისა, რძე — 6.180 ტონა ნაცვლად 5.000 ტონისა, კვერცხი — 6.986.000 ცალი ნაცვლად 6.125.000 ცალისა.

თელაველმა მშრომელებმა, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველმა მდივანმა ა. ჭარდიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ მ. მეზვრიშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. მესტმირიშვილმა, — 26 სექტემბერს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ცხრა თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით, რძისა — 101 პროცენტით, კვერცხისა — 107 პროცენტით, მატყლისა — 101 პროცენტით.

ბაღდათის რაიონმა 20 სექტემბერს სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ცხრა თვის გეგმა 110,5 პროცენტით შეასრულა, შარშანდელთან შედარებით სახელმწიფოს მიეყიდა 332 ცენტნერით მეტი ხორცი, რძის მიყიდვის გეგმა განაღდებულია 113,9 პროცენტით, კვერცხი მიეყიდა 2.804.177 ცალი, ცხრა თვის გეგმის 115,6 პროცენტი, — აცნობეს რედაქციას საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომის მეორე მდივანმა ნ. ბახტაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის, თავმჯდომარემ ნ. ბორგოშაძემ, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ს. ჭანკურიძემ.

საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. კავთიაშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ბ. ღაშმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა პ. რაზმაძემ რედაქციას ტელეფონით აცნობეს, რომ მცხეთელმა მშრომელებმა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. სახელმწიფოს მიეყიდა 12.150 ცენტნერი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 12.040 ცენტნერისა, კვერცხი — 200.000 ცალი ნაცვლად 196.000 ცალისა.

სახელმწიფოს ხორცი მიეყიდა 2.655 ცენტნერი ნაცვლად ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებული 2.300 ცენტნერისა, მატყლი — 160 ცენტნერი ნაცვლად 158 ცენტნერისა.

საქართველოს კ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესია

დეპუტატ რ. ი. ფრუიძის სიტყვა

საქართველოს სსრ თბილისის კიროვის საარჩევნო ოლქი

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ქვეყნის მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების საკითხები, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად არის წარმოდგენილი, ლოგიკურად გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, როცა პარტიამ გამოიჩინა დიდი პრინციპულობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა, სიმტკიცე პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დაცვისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ხელმძღვანელობის მეთოდებისა და სტილის სოციალიზმის გზაზე დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმი, რომელმაც გამოავლინა ბევრი დიდი ნაკლი და შეცდომა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში. ახლა პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა მთავრობამ უშუალოდ მოჰკიდეს ხელი სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისა — მრეწველობის დაგეგმვისა და ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს.

მრეწველობა სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგია. იგი ასრულებს მთავარ, განსაზღვრელ როლს სოციალისტურ ეკონომიკაში, რადგან ამაზეაღებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს მოწინავე ტექნიკითა და, ამით, პირობებს ქმნის მათი განვითარებისათვის. ჩვენი მრეწველობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანთა შორის სოციალისტური ორგანიზაციაკვლევრმოების მაღალი ტემპის მძლავრი წყარო.

საბჭოთა ხალხმა ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით დიდი წარმატებანი მოიპოვა კომუნისტურ მშენებლობაში. შეიდწლედის მანძილზე განხორციელდა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებაში, რაც საბჭოთა ადამიანების თავდადებული მეცადინეობის შესაბამისად ბაყოფილი სახელგაფურიანი წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი მიჯნები დაიპყრო საქართველოს სს რესპუბლიკამ. ახალი პროგრესული დარგების განვითარებასთან ერთად წარმოების საერთო მოცულობის ტემპი ორმაგად გადიდებამ ხელი შეუწყო დიდებულის ძეურა მრეწველობის სტრუქტურაში. რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალი წლითიწლობით იზრდება, ამასთან ამ ზრდას, უმთავრესად, განაპირობებენ ისეთი ახალი, სწრაფადგანვითარებადი დარგები, როგორიც არის ელექტროტექნიკური, მანქანათმშენებელი, აგრეთვე ქიმიური მრეწველობა. 1965 წელს საქართველოს სამრეწველო წარმოების მოცულობა 1958 წელთან შედარებით გადიდდება 1,6-ჯერ.

რესპუბლიკის მრეწველობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესება სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა—კომპლექსური მექანიზაციისა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის, ცალკეული სახეობის პროდუქციის ნაკადურ წარმოებაზე გადასვლის, ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციის და სხვა ღონისძიებათა შედეგია.

მაგრამ მოვალენი ვართ სწორად შევაფასოთ სამეურნეო ვითარება, ყოველმხრივ და ღრმად ჩავწვდეთ ეკონომიურ პროცესებს, ვხედავდეთ არა მარტო წარმატებებს, არამედ ნაკლსაც. თუ ანალიზს გავუკვლევთ რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობას შვიდწლეული მანძილზე, დიდი ჯაფა არ დაგჭირდება იმის შესამჩნევად, რომ გამოუყენებელი რჩება წარმოების ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვები და შესაძლებლობანი. თუ 1952-1958 წლების საქართველოს მრეწველობის მოლოდინი პროდუქციის ზრდის საშუალო წლიური ტემპი შეადგენდა 10 პროცენტს, 1959-1965 წლებში იგი შეადგენს მხოლოდ შვიდ პროცენტს. დაანლოებთან ანალოგიური სურათია ისეთი დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლების მხრივ, როგორიც არის შრომის ნაყოფიერება. წინა შვიდწლედში რესპუბლიკის მრეწველობის შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა შეადგინა 5,8 პროცენტი, ხოლო 1959-1965 წელს იგი შემცირდება 3,3 პროცენტამდე. ნათელია, რომ ასეთი ტემპი, როგორც პირველ, ისევე მეორე შემთხვევაში არ შეესაბამება დღეანდელობის ამოცანებს.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი წარმატებანი უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ნაკლი კი მუშაობაში ნაკლები გვექნებოდა, რომ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაზე უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა სახალხო მეურნეობის მართვის ორგანიზაციის ღონისძიებებს. რომლებიც განხორციელდა ვითარების გაუანალიზებლად და ჭრილდათ თვითნებური, სუბიექტური ხასიათი. ორგანიზაციის შედეგად, როცა მართვა ტერიტორიული პრინციპით და სახალხო მეურნეობის საბჭოების მეშვეობით ხორციელდებოდა, სამეურნეო ორგანოების სტრუქტურა მოიქნელი გახდა, რამაც, საბოლოო ანგარიშით, გაართულა მართვა არა მარტო ადგილებზე, არამედ ძირითადად სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ხშირად მრეწველობის დარგების წინაშე ისახებოდა ხოლმე დიდი ამოცანები, რომლებიც ჯერ-ჯერობან არ იყო განმტკიცებული საკირო ეკონომიური ღონისძიებებით.

პირველსავე წელს ნათელი გახდა, რომ მართვის ამ ფორმას არსებითი ნაკლოვანებანი აქვს და არ შეესაბამება მრეწველობის ყველა დარგის დაჩქარებულ განვითარებას. მრავალდარგოვანი სამართველოები მაშინვე დიდ სიძნელეებს წააწყდნენ სხვადასხვა ხასიათის საწარმოთა ხელმძღვანელობაში.

მოვიყვან მაგალითს ჩვენი პრაქტიკიდან. სხვა გამოსავალი არ გვქონდა და იძულებული გავხდით საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებელი მრეწველობის სამმართველოსათვის დაგვექვემდებარებინა ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობა, საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა, სანტარტექნიკური მოწყობილობის მრეწველობა და სხვა დარგები. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ეს სამმართველო მუდმივ კვალიფიციურ ხელმძღვანელობას ვერ გაუწევდა ესოდენ განსხვავებულ დარგებსა და საწარმოებს. სისტემა, რომლის დროს წარმოების სხვადასხვაგვარ დარგებსა და საწარმოებს ერთი სამმართველო აერთიანებდა, ბუნებრივია, აფერხებდა ტექნიკურ პროგრესს, აუარესებდა ხელმძღვანელობას და ხელს უშლიდა მთავარს — გეგმის შესრულებას ყველა საწარმოში. ვფიქრობ, რომ არა მარტო საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა სახალხო მეურნეობის საბჭოებიც ხედავდნენ, რომ ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი არ კლებულობდა, რომ ბუნდოვანმა ამოცანებმა სერიოზული სიძნელეები შეუქმნა ჩვენს შესანიშნავ ხელმძღვანელ ტექნიკურ კადრებს წარმოების ხელმძღვანელობისა და სრულყოფის საქმეში.

დარგობრივი კომიტეტების შექმნისას მხედველობაში გვქონდა აღგვედგინა ერთიანი ტექნიკური ხელმძღვანელობა მრეწველობის დარგებში. მაგრამ დარგობრივი კომიტეტები შოწყვეტილი იყვნენ სახალხო მეურნეობის საბჭოებისადმი დაქვემდებარებულ სამრეწველო საწარმოებს და ფაქტიურად, საკუთხელტაციო ორგანოებად გადაიქცნენ. თავის მხრივ, სახალხო მეურნეობის საბჭოები დარგობრივი კომიტეტების იმედით ძალიან ცუდად ნერგავდნენ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის ახალ მიღწევებს, არ ზრუნავდნენ ტექნიკური პროგრესისათვის.

დაგეგმვის არსებულ სისტემას ვერაფრით ვერ მივიჩნევთ სრულყოფილად. იგი ხშირად წარმოშობდა გაუპიროვნებას ბევრი საკითხის გადაჭრაში. ამ სისტემის მთავარი ნაკლი ის არის, რომ ძალიან დიდი ადგილი უკავია ადმინისტრაციულ ფორმებს, რაც ზიანს აყენებს ეკონომიურ ფორმებს. სახალხო-სამეურნეო გეგმების შედგენისას მუშაობის დაქსაქსულობა ზოგჯერ სერიოზულ შეუთანხმებლობას იწვევდა გეგმებსა და შესაძლებლობებს შორის.

ამის დასადასტურებლად მოვიყვან ასეთ მაგალითს. 1960 წელს ჩვენ დავიწყეთ თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის შენებლობა. შენებლობის დამთავრების ვადად ჯერ გათვალისწინებული იყო 1964 წელი, შემდეგ კი მომდინარე წლის მეოთხე კვარტალი. მაგრამ დღესაც არ არის მშენებარე ობიექტი. სავსებით უზრუნველყოფილი მოწყობილობით. ამავე დროს, ახალ ქარხანას ექვე მიეცა გეგმა, რომელიც, სავსებით გასაგებია, პაერში გამოკიდებული აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, ასეთი ფაქტები მრეწველობის სხვა დარგებშიც არის. წლის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა, რესპუბლიკაში კი 17 დიდი ასამუშავებელი სამრეწველო ობიექტია, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის დაკომპლექტებული მოწყობილობით. უფრო მეტიც, დღემდე არ არის სავსებით გარკვეული მოწყობილობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიღების ვადები.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭომ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ არაერთგზის და დაჟინებით სთხოვეს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოეყოთ დანარჩენი მოწყობილობა. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს ყოველთვის სამართლიანად მიუთითებდა ჩვენი პრეტენზიები, მაგრამ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს არ იღებდა, რომ ოპერატიული დახმარება გაეწიათ ჩვენთვის მოწყობილობის მიღებაში, ან გადაესინჯათ მაინც დაუმთავრებელ საწარმოთა პროდუქციის გამოშვების არაოპერატიული გეგმა.

დაგეგმვაში არსებულმა ასეთმა შეუთანხმებლობამ არა მარტო გააჭიანურა მშენებლობა და გამოიწვია ადრე მიღებული მოწყობილობის შენახვის დამატებითი ხარჯები, არამედ ამას მოჰყვა სახსრების ხელოვნური გაყინვაც.

ტერიტორიული პრინციპით მართვის სისტემამ ხელი ვერ შეუწყო სახელმწიფო და საწარმო დისციპლინის განმტკიცებას. ერთის მხრივ ეს სისტემა სიტყვით მოითხოვდა კოოპერირებული მოწოდების ზუსტ გეგმებსა და მტკიცე ეკონომიურ ურთიერთობას, მეორე მხრივ კი, არსებითად, არღვევდა ამას თითქმის ყოველ ნაბიჯზე.

საბჭოთა ეკონომიკის განვითარების თანამედროვე დონე, როგორც ეს ხაზგასმული იყო დეპუტატ მაზიროვის მოხსენებაში, საშრეწველო წარმოების მასშტაბის ზრდა, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე, მრეწველობის შემდგომი ტექნიკური აღჭურვის საჭიროება, განსაკუთრებით დიდ ამოცანებს სახავს დღეს მრეწველობის მართვის გაუმჯობესებაში. ამ ამოცანების გადაწყვეტის ერთადერთი სწორი გზაა მრეწველობის მართვა დარგობრივი პრინციპით, რაც, უეჭველია, ხელს შეუწყობს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობათა უფრო სრულად გამოყენებას, დემოკრატიული ცენტრალიზმის განმტკიცებას მეურნეობის მართვაში.

სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა პერიოდში მრეწველობის მართვის ცენტრალიზაციის პრინციპი ყოველთვის იყო სფეთქველი სამეურნეო ხელმძღვანელობის სისტემის შექმნისა ჩვენს ქვეყანაში. ეს საფუძველი გახდა პირველ ხუთწლედებში ჩვენი გამარჯვებების მტკიცეც საფუძველი, მან გაუძლო დიდი სამამულო ომის ქარიშხალს და ავლადიდებულ გადაეტანა ჩვენს წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

ჩვენმა პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დიდი მუშაობა გასწიეს მრეწველობის მართვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესამუშავებლად. ეს მუშაობა, სახალხო მეურნეობის საბჭოების ორგანიზაციის შესახებ მოუფიქრებელი გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, სერიოზულად, გულმოდგინედ და ყოველმხრივ იყო მოფიქრებული, ხორციელდებოდა ფართო განხილვის, მეცნიერთა, სპეციალისტთა, ჩვენი ქვეყნის ბევრი საწარმოსა და ორგანიზაციის ხელმძღვანელთა დიდი საქმიანობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ვითარებაში.

ეჭვი არ არის, რომ ძირითად წინადადებებს, რომლებიც წამოყენებულია ამხანაგ კოსიგინის მოხსენებაში, ამხანაგ ბრეჟნევის გამოსვლაში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში მრეწველობის მართვის გაუმჯობესების შესახებ, ისევე დაუჭერს მხარს და მოიწონებს მთელი საბჭოთა ხალხი, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს.

მრეწველობაში ცენტრალიზებული დარგობრივი ხელმძღვანელობის გაძლიერებასთან ერთად, ფართოდდეს საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობა, დიდდება საწარმოთა ხელმძღვანელებისა და კოლექტივების დაინტერესება ზრდითა და ტექნიკური რესურსებით, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებითა და წარმოების რენტაბელობის გადიდებით, ამასთან დაკავშირებით დროულად იმეფნა ადგილებზე ინიციატივის გაფართოების საკითხი.

საწარმოთა ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოება საშუალებას მოგვცემს უფრო მოქნილად ვიხელმძღვანელოთ წარმოებას, საქმის გაუპიანურებლად გადაეჭრათ ძირითად და საბრუნავ საშუალებათა, კაპიტალური დაბანდების გამოყენების, მატერიალური დაინტერესების გადიდების, მუშაკთა საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, აგრეთვე წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის საკითხები.

საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების სტიმულირების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, წარმოებაში მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნების მიზნით, ახალი დებულება სოციალისტური საწარმოს შესახებ ითვალისწინებს სხვადასხვა სახეობის პრემიებსა და წახალისებას. მაგრამ, ამასთან ერთად, მიზანშეწონილი იქნებოდა, ჩვენი აზრით, აღგვედგინა სამრეწველო საწარმოებში ანაზღაურება ნაასახურობისათვის. ამასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯები შეიძლება ანაზღაურდეს სტაბილური კადრების შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალებით.

თანამედროვე პირობები და სოციალისტური ეკონომიკა ამოცანები ითხოვს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის არსებითად გადიდებას, მისი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. სწორედ ამ მიზნებს მოემსახურება სამრეწველო საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები, რომლებიც ახლა იქმნება.

ახალ პირობებში მნიშვნელოვნად იზრდება მოკავშირე რესპუბლიკების როლი და პასუხისმგებლობა საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში ღრმად გვაქვს შეგნებული, რომ მრეწველობის დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესების ღონისძიებანი მოითხოვს ცენტრალიზებული საგეგმო ხელმძღვანელობის სწორი შეხამებას ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გადიდებასთან.

ეჭვი არ არის, რომ ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოება შეესაბამება მთავარ ამოცანას — ჩვენი ქვეყნის მეურნეობის აღმავლობას. საბჭოთა ხალხების მოძმე ოჯახში საქართველოს მშრომელები იმეფშვებენ ერთიანი საერთო სახელმწიფო რიტმით, მუდამ მთელი ჩვენი ქვეყნის მხარდამხარ იქნიან.

მრეწველობის მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხის განხილვის დროს მიზანშეწონილად მიგვაჩნია სხვა საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებთან, სამმართველოებთან და გაერთიანებებთან ერთად ჩვენს რესპუბლიკაში მსუბუქი მრეწველობის ერთი სამინისტროს ბაზაზე შეიქმნას ორი სამინისტრო—საუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროები. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში არის ელექტროტექნიკური მრეწველობის ბევრი საწარმო და მისი ჩამოყალიბების პერსპექტივები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვიქონიოთ რესპუბლიკაში მართვის ორგანო, რომელიც გაერთიანებს ამ წარმართავს ამ დარგის ყველა საწარმოს მუშაობას.

დავას არ იწვევს სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის გრდამქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის საერთო საკავშირო სახელმწიფო კომიტეტად. მაგრამ რესპუბლიკის მასშტაბით ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებს ესაჭიროებათ თავისაური საქმიანობის კოორდინაცია, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია შევინარჩუნოთ რესპუბლიკაში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო კომიტეტი, რომელსაც შესაბამისად გარდავქმნით. ამით მოიგებს ავრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციისა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პროპაგანდის დაყენების საქმე, რაზეც ამჟამად შეშაობს ამ კომიტეტის მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ინსტიტუტი.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენ მოლიანად და სავსებით ეუჭერთ მხარს სესიის დასამტკიცებლად წარმოდგენილ წინადადებებს მრეწველობის მართვის გაუმჯობესების, დაგეგმვის სრულყოფისა და სამრეწველო წარმოების ეკონომიური სტიმულირების გაძლიერების შესახებ. საბჭოთა საქართველოს მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით მსუბუქი მრეწველობის ერთი სამინისტროს ბაზაზე შეიქმნას ორი სამინისტრო—საუბუქი და საფეიქრო მრეწველობის სამინისტროები. იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სს რესპუბლიკაში არის ელექტროტექნიკური მრეწველობის ბევრი საწარმო და მისი ჩამოყალიბების პერსპექტივები, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვიქონიოთ რესპუბლიკაში მართვის ორგანო, რომელიც გაერთიანებს ამ წარმართავს ამ დარგის ყველა საწარმოს მუშაობას.

საშუალო სკოლის ატესტატით მოვიდა ნანული შერმაზადაშვილი თბილისის სარკოვ-სატრიოტ ა ე ო კომბინატში სამუშაოდ, მალე აითვისა მქსოველის პროფესია და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. იგი ყოველდღიურ დავალებებს 115-120 პროცენტით ასრულებს, რითაც მთელი კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ფოტო გ. გოგოხიასი.

მეცნიერები — წარმოებას

რუსთავი. (საკ. კორ.). ქარხნების საამქროების დაზგებთან და აგრეგატებთან ყოველთვის შეგიძლიათ ნახოთ თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლები. ისინი წარმოების ნოვატორებთან ერთად მუშაობენ და წყვეტენ წარმოების რთულ პრობლემებს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის კოლექტივმა ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხ. ფურცელაძის ხელმძღვანელობით შეიმუშავა მარგანეცის არაკონდიციური მადნის ქიმიური გამდიდრების ხერხი. ამ ხერხის გამოყენების შედეგად ახლა სავსებით შესაძლებელი გახდა ღარიბი მადნისაგან მივიღოთ ოთხი ძვირფასი ქიმიური პროდუქტი.

ქიმიკოსმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ეფექტივე დაბალსარისხიანი მადნისაგან ჰერმანგანატის კალიუმის მიღების თეორია. ასე მიღებულ ჰერმანგანატის კალიუმს იყენებენ ფარმაციევტულ და ქიმიურ მრეწველობაში როგორც დეზინფექციის საშუალებას.

ამჟამად მეცნიერები მუშაობენ აზოტოვანი სასუქების ქარხანაში შარდოვანას დიდი მასშტაბით მიღების რთულ პრობლემებზე.

კაპროლაქტამის ქარხნის საექსპლოატაციოდ გადაცემისთანავე ქიმიკოსმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ღონისძიებანი კაპროლაქტამის ტექნოლოგიის სრულყოფისათვის და მისი წარმადობის გაზრდისათვის.

მეცნიერი მუშაკები ასევე აქტუალურად წყვეტენ რადიაციული ქიმიის განსაკუთრებულ პრობლემებს, მაღალი ძაბვის ენერგიის რადიაციის საშუალებით ქიმიკოსებს შეუძლიათ ინტენსიფიცირებული გახადონ ან და შეანელონ სხვადასხვა ქიმიური პროცესები, რაც საბოლოო ანგარიშით იმის გარანტიას იძლევა, რომ გაიზარდოს ქიმიური პროდუქციის წარმოება, ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება და შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება.

ამთვისებს ახალი პროდუქცია

ტყიბული. (საკ. კორ.). მოსკოვი, ლენინგრადი, თბილისი — ასეთი მისამართით იგზავნება გაზმნათი ტრანსფორმატორები, რომლებსაც ელათის ტრანსფორმატორების ქარხანა უშვებს. ეს უნიკალური პრროდუქცია განკუთვნილია სარეკლამო განათებისათვის.

და განა მარტო გაზმნათი ტრანსფორმატორები? ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივმა სულ მოკლე დროში წარმატებით ითვისა ელექტროხვეულების ელექტროსეთოებისა და ვენტილატორების წარმოება.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ქარხანამ კიდევ ერთი ახალი პროდუქცია — ელექტროლუმენი გამოუშვა. წელს ქარხანამ უნდა დაამზადოს 40 ათასი ცალი ელექტროლუმენი, ფაქტიურად უკვე დამზადებულია ათასი ცალით მეტი. ქარხნის პროდუქციაზე მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს.

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

გათუმი. (საკ. კორ.). **პოლიტიკური განათლების კმსელში ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით პარტიის აპარის საოლქო კომიტეტმა მოაწყო პროპაგანდისტთა გადასამზადებელი მოკლევადიანი კურსები. მეცადინეობას ესწრებოდა 250-მდე პროპაგანდისტი.**

საქართველოს კპ აპარის საოლქო კომიტეტის მდივანმა დ. დიასამიძემ, საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ა. ტაკიძემ, შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგემ დოცენტმა მ. სტამბოლიშვილმა, პოლიტიკური განათლების სახლის გამგემ ი. ბურკულიძემ წაიკითხეს ლექციები თემებზე: „პარტიული პროპაგანდის ამოცანები ახალ სასწავლო წელს“, „მეცადინეობის მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკა“, „ვ. ი. ლენინისაგან ვისწავლოთ პროპაგანდის ხელოვნება“, „პოლიტიკური ლიტერატურაზე დამოუკიდებლად მუშაობა“ და სხვ. გაიმართა სემინარი თემაზე „სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორია“.

პოლიტიკური განათლების სახლის ბიბლიოთეკაში გამოფენილი იყო დამხმარე ლიტერატურა, უჩვენეს მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების სერია „პროპაგანდისტის გამოცდილებიდან“.

ᲛᲘᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲝᲕᲐᲜᲘ — ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

ᲩᲕᲔᲜᲡ დროში ცხოვრებამ თვალნათლივ გვიჩვენა, რომ ხალხის მასების ცოცხლობს და შემდგომი სიცოცხლის უფლებას ინარჩუნებს ის ხელოვნება, რომელიც ხალხის ინტერესებს ემსახურება. მ. შოლოხოვის ამ სიტყვებში მკაფიოდ არის გამოხატული ხელოვნების წმინდა და ურყევი ideaნი. მწერალი ვალდებულია ქმნიდეს ისეთ ნაწარმოებებს, რომლებიც განამტკიცებენ კომუნიზმის პოზიციებს, აღაფრთოვანებენ და დარაზმავენ ჩვენს ხალხს, აღზრდიან მას კომუნისტური იდეების სულისკვეთებით. იგი მოწოდებულია სრულყოფილად ასახოს ჩვენი გმირული დღეების სიდიადე, შექმნას კომუნიზმის მშენებელთა წარმტაცი მხატვრული სახეები, სიმართლითა და დამაჯერებლად გვიჩვენოს ჩვენს ცხოვრებაში ახალი, კომუნისტური ურთიერთობის დამკვიდრება. ძირითადად საბჭოთა მწერლობის ამ ამოცანებზე გაიმართა სალაბაასი საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

როგორც მომხსენებელმა, პარტიულმა ძველმა ნოდარ გურეშიძემ აღნიშნა, ქართველ მწერლობას სწორად აქვს გაგებული მის წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანები. ბოლო წლებში ქართველმა მწერლებმა შექმნეს სხვადასხვა ჟანრის მთელი რიგი ისეთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებმაც ხალხის აღიარება და მოწონება დაიმსახურეს. აღსანიშნავია ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობის შემოქმედებითს ცხოვრებაში მოხდარი ძვრები, მათს ახალ ნაწარმოებებში მკაფიოდ იგრძნობა იდეური სიმწიფე და მხატვრული დოსტატება.

თანამედროვეობის თემატიკამ ჩვენი ლიტერატურის თითქმის ყველა დარგში დაიკავა წამყვანი ადგილი. ეს იმიტომ, რომ მხატვრული სიტყვის ოსტატებმა უფრო ღრმად და სისტემურად დაუკავშირეს თავიანთი შემოქმედება ხალხის ცხოვრებას, მის სასიცოცხლო ინტერესებს, მისი შრომისა და ბრძოლის ყოველდღიურობას, მეტი მხატვრული სიმართლით ასახავენ თანამედროვეობის დიად მოვლენებს და ქმნიან ახალი სამყაროს მშენებელთა მაღალმხატვრულ სახეებს.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღიარეს, რომ აღნიშნული წარმატებები სრულიადაც არ იძლევა თვითდამშვიდებისა და თვითკმაყოფილების უფლებას. გარკვეული მიღწევების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრია სერიოზული ნაკლოვანებანი. თანამედროვეობის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს ხშირად აკლია სიღრმე და მხატვრული სისავსე.

უკანასკნელი დროის როგორც პროზას, ისე პოეზიას ემჩნეოდა წვრილმანი. ნაკლებად მნიშვნელოვანი თემებით გატაცება, მთელ რიგ ნაწარმოებებს არ ამოქმედებს დიდი საზოგადოებრივი იდეა. ჩვენი დღეების ჭეროიკული სული, რაც ასე დამახასიათებელია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობისათვის. ლიტერატურული ჟურნალგაზეთების სარედაქციო კოლეგიები ზოგჯერ ვერ იცავენ მაღალი მომთხოვნელობის პრინციპებს, რის შედეგად ჯერ კიდევ იბეჭდება უფერული, უიდეო ნაწარმოებები.

ჩვენი ლიტერატურის შემდგომ აღმავლობას ბევრად უნდა განაპირობებდეს მხატვრული კრიტიკის აქტივობა, მისი შემოძოლური, შეურიგებელი დამოკიდებულება უიდეო, უფერული და უსახო ნაწარმოებებისადმი. მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ასევე ერთმანეთი ეჭიდებოდნენ ზოგიერთ ისეთ ნაკლოვანებას, ერთ-ერთ ასეთ ნაკლად ეს ... ...

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲙᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ პრესა დიდ უურადღებას იჩენს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახლახან დამთავრებული პლენუმის მიხალმებისადმი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის მუშაობისადმი, რომლის განსახილველად დასმულია საკითხი მრეწველობის მართვის გაუმჯობესების შესახებ. გაზეთები მაღალ შეფასებას აძლევენ სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის.

სოციალისტური ქვეყნების გაზეთები ბეჭდავენ ცნობებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის მუშაობის შესახებ და მოჰყავთ შინაარსი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ტ. მაზუროვის მოხსენებისა მრეწველობის მართვის გაუმჯობესების შესახებ.

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ გაზეთებმა „ბორბამ“ და „პოლიტიკამ“. დღეს ვრცელი მასალები დაბეჭდეს სესიის შესახებ, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მომავალი გარდაქმნები არ ნიშნავს საბჭოთა მრეწველობის ხელმძღვანელობის იმ სტრუქტურის დაბრუნებას, რომელიც 1957 წლამდე არსებობდა. ახალმა სამინისტროებმა, აღნიშნავენ გაზეთები, უნდა იმუშაონ ისეთ პირობებში, როდესაც საწარმოთა უფლებანი მნიშვნელოვნად ფართოვდება, როდესაც შესამჩნევად ძლიერდება ეკონომიური ბერკეტების როლი წარმოებაში.

„მეურნეობის გაძლოლის მეთოდების გაუმჯობესება“, „ეკონომიკის განვითარების სწრაფი ტემპი“ — ასეთი სათაურებით აქვეყნებენ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ მასალებს სესიის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებებს ᲛᲝᲜᲔᲚᲝᲚᲔᲗᲘᲡ სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ᲣᲜᲘᲜᲘ“ „უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის რეფორმას“ უწოდებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის მუშაობა დიდ ინტერესს იწვევს ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ. სესიის შესახებ თვალსაჩინო ადგილზე დღეს მასალები გამოაქვეყნეს „ᲢᲐᲘᲛᲡᲐ“, „ᲓᲘᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲐ“, „ᲓᲘᲚᲘ ᲣᲝᲩᲩᲔᲠᲘᲐ“ და სხვა გაზეთებმა. „ᲢᲐᲘᲛᲡᲘ“ ხაზს უსვამს ამბ. მაზუროვის მოხსენების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ მომდინარე წელიწადში სამრეწველო წარმოების ზრდის საშუალო წლიური ტემპი სსრ კავშირში აჭარბებს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შესაბამის ტემპს. (საკადესი).

ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲛᲘᲔᲡᲐᲚᲛᲔᲒᲘᲐᲜ ᲡᲐᲒᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲡ

ᲝᲓᲔᲠᲘᲡ ᲤᲠᲐᲜᲒᲘᲤᲣᲠᲢᲘ, 4 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი კ. სავინი იუწყება:

საბჭოთა კოსმონავტი პავლე ბელიაევი, რომელიც სტუმრად არის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გუშინ ჩამოვიდა ნავთობქიმიისა და მეტალურგიის დიდი ცენტრის ოდერის ფრანკფურტის ოლქში.

კოსმონავტს გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ქალაქ ებერსვალდის მცხოვრებლებმა.

შემდეგ კოსმონავტი ესტუმრა შვედტის ნავთობგადასამუშავებელ კომბინატს.

საღამოს პავლე ბელიაევი ჩამოვიდა ოდერის ფრანკფურტში.

ᲨᲕᲔᲠᲘᲜᲘ, 4 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კოსმონავტი ალექსი ლეონოვი სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა შვერინის ოლქში. საპატიო სტუმარს ახლავს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მაქს ზეფრინი.

ᲠᲐᲡᲘᲡᲢ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐ ᲡᲣᲠᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 4 ოქტომბერი. საკდესის კორესპონდენტი Მ. ᲐᲜᲘᲩᲘᲜᲝ იტყობინება:

საკმაოდ ცნობილი რასისტი ჯორჯ უოლესი, ალაბამის შტატის გუბერნატორი, კვლავ ამტკიცებდა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე.

უოლესმა დაიწყო პრეზიდენტის 1968 წლის წინასაარჩევნო კამპანია. უოლესის პოლიტიკური კრედო, ტელევიზიით მისი პირველი გამოსვლის თანახმად, საკმაოდ მარტივია: შეერთებული შტატების პრეზიდენტი უნდა იყოს „ზომიერი, ნამდვილი ამერიკელი“.

მისი სტატეზი კი „ნამდვილი ამერიკელები“ არიან... კუკლუქსკლანელები, ჯონ ბერჩის ფაშისტური საზოგადოება და სხვა რეაქციული ორგანიზაციათა წევრები.

უოლესის წინასაარჩევნო ლოზუნგი კი „თეთრკანიანთა უპირატესობაა“. ამ ლოზუნგით, როგორც უოლესი და მისი ალაბამელი მომხრეები ვარაუდობენ, ამერიკელი რასისტები გაინაღდებენ ბევრი ამომრჩევლის მხარდაჭერას, განსაკუთრებით სამხრეთ შტატებში.

უოლესსა და მის დამქაშებს მიაჩნიათ, რომ ახლა პოლიტიკური კაპიტალის შეძენის ყველაზე ხელსაყრელი დრო. როგორც თვითონ უოლესი აცხადებს, თავიანთ გეგმებს რომ ადგენენ, ალაბამელ რასისტებს იმედი აქვთ, რომ ლოსანეველ ზანგთა ხოცვა-ჟლეტას მოჰყვება ახალი რასობრივი შეტაკებანი, როგორც მელთა შედეგად გაიზრდება მის მომხრეთა რიცხვი. შემდეგ უოლესი ფიქრობს, რომ მას ხელსაყრელ შესაძლებლობებს შეიქმნის ბევრი ამერიკელის იმედგაცრუება ახლანდელი მთავრობის საგიეტნამო პოლიტიკის გამო.

უოლესმა კარგად იცის, რომ წინასაარჩევნო კამპანიისათვის ბევრი ფულია საჭირო. ამ პრობლემას იგი საკმაოდ ადვილად წყვეტს. ალაბამის შტატში უოლესი თითქმის შეუზღუდველი ძალაუფლებით სარგებლობს და, როგორც „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ წერს, ალაბამის საგადასახადო ფონდები უოლესის წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსური საფუძველი იქნება. უოლესს ტყუილად როდი აქვს აგრეთვე ჯიბესქელ რასისტთა უხვი მხარდაჭერის იმედი.

ᲛᲝᲚᲐᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲔᲑᲘ

ᲙᲐᲛᲞᲐᲚᲐ, 3 ოქტომბერი. (საკდესი). „უგანდა-სსრ კავშირის“ კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვევით აქ ჩამოვიდნენ მწერალი ს. ს. სმირნოვი და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. ე. ნონაშვილი.

საბჭოთა სტუმრები ათ დღეს დაპყოფენ უგანდაში. ისინი მოიელიან ამ ქვეყანას და მონაწილეობას მიიღებენ ზეიმში უგანდის დამოუკიდებლობის გამოცხადების მესამე წლისთავის გამო.

ᲘᲜᲓᲝᲔᲗ-ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

ᲓᲔᲚᲘ, 4 ოქტომბერი (საკდესი). ინდოეთის მთავრობის წარმომადგენელმა გუშინ პაკისტანს ბრალდ დასდო, რომ „პენჯაბში კვლავ დაარღვია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ“. პაკისტანის ჯარები, თქვა მან, ცდილობდნენ გაეუმჯობესებინათ თავიანთი პოზიციები სიალკოტისა და ლაპორის სექტორებში. პაკისტანის სამხედრო სამჯერო, ძალებმა თვითმფრინავები, აღნიშნა წარმომადგენელმა, აქტიურად ესხმოდნენ თავს სიალკოტის რაიონს.

ᲧᲐᲠᲐᲩᲘ, 4 ოქტომბერი. (საკდესი). ოფიციალურ კომუნიკეში, რომელიც აქ გუშინ გამოქვეყნდა, აღნიშნულია, რომ პაკისტანის ჯარებმა „დიდი ზარალი მიაყენეს ინდოეთის ძალებს, რომლებმაც იერიში წამოიწყეს ქაშმირში ჩხამბის ჩრდილოეთით“. პაკისტანის ნაწილები, აღნიშნულია კომუნიკეში, „ეფექტიან კონტრშეტევაზე გადავიდნენ ინდოელთა წინააღმდეგ ამ რაიონში და გაამაგრეს თავიანთი პოზიციები“.

ᲯᲝᲜ ᲒᲝᲚᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 4 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც „დეილი უორკერი“ იუწყება, დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალური მდივანი ჯონ გოლანი გამოვიდა ფელტბში (მიდლსექსის საგრაფო) და გააკრიტიკა იაკლისის მთავრობის პოლიტიკა ადენის და სამხრეთ როდეზიის მიმართ.

ადენში გაუქმდა კონსტიტუცია, შემოღებულია სამხედრო წესები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციის საწინააღმდეგოდ, რომელიც მოითხოვს რომ ადენს მიენიჭოს დამოუკიდებლობა და მოისპოს ინგლისის სამხედრო ბაზები, თქვა გოლანმა. კოლონიური ომი, რომელსაც იქ ინგლისი აწარმოებს, — თქვა გოლანმა, — უნდა შეწყდეს.

ამავე დროს სამხრეთ როდეზიაში, სადაც თეთრკანიანთა უმნიშვნელო უმცირესობამ, რომელიც აფრიკელი უმრავლესობის ჩაგვრის პოლიტიკას ახორციელებს, გამოაცხადა, რომ სურს დამოუკიდებლობა, ინგლისის მთავრობამ არ გააუქმა კონსტიტუცია და რეალური ლონისძიებანი არ განახორციელა, აღნიშნა დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა

მოლაპარაკება, რომელიც ლეიბორისტულ მთავრობას განზრახული აქვს თეთრკანიანი უმცირესობის მთავრობის მეთაურთან, არა თუ მ[illegible]ტო უკანონოა, არამედ მას გარდუვ[illegible] მოჰყვება კონფლიქტი.

სამხრეთ როდეზიან[illegible]იელ უმრავლესობას უნდა მიეცეს უფლება თვითონვე გადაწყვიტოს თავისი მომავლის საკითხი, თქვა დასასრულ ჯონ გოლანმა.

ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 2 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა გამოსცა ბრძანებულება პრემიერ-მინისტრი ალი საბრის კაბინეტის გადადგომის მიღების შესახებ. ამას იუწყება მენის საგენტო. ყოფილი პრემიერ-მინისტრი ალი საბრი, პრეზიდენტის მეორე ბრძანებულების თანახმად, დანიშნულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტად. ოფიციალურად გამოცხადდა აგრეთვე, რომ შეიქმნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალი მთავრობა. ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრი გახდა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ზაკარია მოჰი ედ-დინი. დანიშნულია პრემიერ-მინისტრის 8 მოადგილე, პრემიერ-მინისტრის მოადგილედ საგარეოპოლიტიკურ საკითხებში დანიშნულია დოქტორი მაჰმუდ ფაუზი. პრემიერ-მინისტრის მოადგილედ ეკონომიკისა და ფინანსების დარგში — დოქტორი აბდელ მონეიმ კაისუნი, სამხედრო მინისტრად — აბდელ ვაჰაბ ბიშრი.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ. ომის შემდეგ გასულ ოც წელიწადში ჩეხოსლოვაკიაში ამენდა მილიონზე მეტი ბინა. ახალი დიდი საცხოვრებელი რაიონები შეიქმნა პრაღაში, ბრატისლავაში, ბრნოში, ჩესკე-ბუდიოვიცესა და სხვა ინდუსტრიულ ცენტრებში.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘ: ახალი ლიდიცკა ქუჩა ძველ ქალაქ ჩესკე-ბუდიოვიცეში.

ფოტო ჩტკ-საკდესისა.

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲘᲡ ᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲑᲝᲠᲘ ᲐᲛᲒᲝᲠᲘᲡᲬᲘᲜᲐᲐᲛᲓᲔᲑᲝᲠᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კუალალუმპურელი კორესპონდენტი, რომელიც ჯაკარტის რადიოს გადაცემას იმოწმებს, იუწყება, რომ გუშინ ჯაკარტაში არმიის ქვეგანაყოფებმა პრეზიდენტ სუკარნოს პირადი დაცვის უფროსის პოდპოლკოვნიკ უნტუნგის მეთაურობით დააპატიმრეს გენერალთა ჯგუფი, რომლებსაც ბრალად ედებათ სახელმწიფო გადატრიალების ცდა. პრეზიდენტ სუკარნოს სასახლეს, აღნიშნავს კორესპონდენტი, გაძლიერებით იცავენ. კავშირგაბმულობის დაწესებულებებსა და სხვა დიდმნიშვნელოვან ობიექტებს, როგორც ჯაკარტის რადიო იუწყება, კონტროლს უწევენ უნტუნგის ქვეგანაყოფები.

პოდპოლკოვნიკმა უნტუნგმა გამოაცხადა, რომ შეიქმნა „ინდონეზიის რევოლუციური საბჭო“, რომელშიც 45 კაცი შედის.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 1 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ჯაკარტიდან სინგაპურში გადაცემულ რადიოს ცნობას, იუწყება, რომ დღეს საღამოს ინდონეზიის არმიის ნაწილებმა ბრიგადის გენერლის სუხარტოს მეთაურობით ჩაახშეს სახელმწიფო გადატრიალება, რომლის მოდენაც სცადეს ქვეგანაყოფებმა პოლკოვნიკ უნტუნგის მეთაურობით. გენერალმა სუხარტომ განაცხადა, რომ გადატრიალების ხელმძღვანელები დაპატიმრებულ ი არიან, და ინდონეზიის დედაქალაქში ალდგა წესრიგი. „მთლიანად ვუჭერთ მხარს პრეზიდენტ სუკარნოს“, — გაანაცხადა გენერალმა სუხარტომ, რომელ მ ა ც, როგორც იუწყებიან, იცავდა არმიის სარდლობა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იმოწმებს ჯაკარტის რადიოს გადაცემას და იუწყება, რომ გენერალ სუხარტოს ჯარებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ჯაკარტა და ინდონეზიის სხვა რაიონები. სუხარტომ განაცხადა, რომ არმია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და პოლიცია ერთად აბორიგელებენ ოპერაციებს წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალების უკანასკნელი კერების ლიკვიდაციისათვის.

ფრანს პრესის კორესპონდენტის სიტყვით, ჯაკარტის რადიო იუწყება, რომ პრეზიდენტ სუკარნოს საფრთხე არ მოელის.

არის აგრეთვე ცნობები, აღნიშნავს შემდეგ ფრანს პრესის სააგენტო, რომ ცენტრალური იავიდან ჯარის ცალკეული ნაწილები დაიძრნენ ჯაკარტის მიმართულებით, რათა დაეხმარონ გადატრიალების მონაწილეებს, რომლებსაც პოდპოლკოვნიკი უნტუნგი მეთაურობს. ამ ნაწილებსა და პრეზიდენტ სუკარნოს ერთგულ ნაწილებს შორის გაადგილებული ბრძოლები მიმდინარეობს.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 2 ოქტომბერი. (საკდესი). ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იმოწმებს ჯაკარტის რადიოს ცნობას და იუწყება, რომ ჯაკარტისა და მისი გარეუბნების რაიონში, აგრეთვე დასავლეთ იავაზე შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 2 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ჯაკარტიდან იუწყება, რომ დღეს დილით ინდონეზიის დედაქალაქში ისმოდა სროლა.

ᲞᲐᲞᲐᲘᲝᲐᲜᲣᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲙᲝᲖᲘᲐ, 4 ოქტომბერი. (საკდესი). „კვიპროსელი ხალხი არასოდეს არ ცნობს რაიმე გადწყვეტილებას კვიპროსის საკითხზე, რომელსაც თვით კვიპროსელთა ზურგს უკან მიიღებენ“, — განაცხადა კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა პაპაიოანუმ, რომელიც გუშინ გამოვიდა ნიკოზიის ოლქში გამართულ მასობრივ მიტინგზე. კვიპროსის მშრომელთა პროგრესული პარტიის გენერალურმა მდივანმა მოიწოდა კვიპროსელ ხალხს გადაჭრით იბრძოლოს კვიპროსში განლაგებული ბრიტანეთის სამხედრო ბაზებისა და ამერიკის საჯაშუშო რადიოცენტრების ლიკვიდაციისათვის.

ᲚᲘ ᲯᲣᲜ-ᲭᲔᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

რამდენიმე თვის წინათ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში დაბრუნდა ჩან კაი-შის უახლოესი თანამებრძოლი, გომინდანური ჩინეთის ყოფილი პრეზიდენტი ვინმე ლი ძუნ-ჟენი. 16 წლის წინათ იგი სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას გაექცა და მოელი ამ წლების განმავლობაში ცხოვრობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ურთიერთობა ჰქონდა ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეების ლიდერებთან, რომელთა ხარჯზეც არსებობდა. ახლა 75 წლის ლიმ გადაწყვიტა დაბრუნებულიყო ჩინეთში.

რატომ დაბრუნეს ბატონი ლი ძუნ-ჟენი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში? იმიტომ, რომ მხოლოდ თაყვანი ეცა მშობლიური მიწასათვის, პატიება ეთხოვა თავისი ხალხისათვის და მშვიდად გაეტარებინა სიცოცხლის დარჩენილი წლები?

არა, ბატონმა ლი ძუნ-ჟენმა, ძალების დაუზოგავად, გააჩაღა მჩქეფარე საქმიანობა. იგი მოგზაურობს ჩინეთში, ესწრება მის პატივსაცემად გამართულ საუზმეებს და ბანკეტებს, თვითონ მართავს დარბაზობას, გამოდის განცხადებებით და პოზსშიც კი დგება დოკუმენტური ფილმისათვის. ეს მჩქეფარე საქმიანობა დაგვირგვინდა 26 სექტემბრის გრანდიოზული პრეს-კონფერენციით, რომელზეც მოწვეული იყო პრესის 400-მდე წარმომადგენელი, მათ შორის დიდი ჯგუფი ბურჟუაზიული კორესპონდენტებისა ჰონკონგიდან და მაკაოდან, დიპლომატიური მისიების პეკინელი პრეს-ატაშეები; დავსწრო ჩინეთის ზოგიერთი ხელმძღვანელი მოღვაწე — ლიაო ჩენ-ჯი, ლიუ ნინ-ი, აგრეთვე იაპონიის მარიონეტული სახელმწიფოს მანჯოუ-გოს ყოფილი იმპერატორი პუ ი და მისი უმცროსი ძმა პუ ძე.

ლი ძუნ-ჟენმა წაიკითხა განცხადება და უპასუხა კითხვებზე. მან მსმენელებს გადაუშალა „სოციალიზმისათვის“ ბრძოლის თავისი პოლიტიკური პროგრამა და გაკვრით მისცა რამდენიმე მითითება მუფლიო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებზე. კერძოდ, „რევოლუციური“ აზრის ამ ანადმოვლენილმა შუქურამ რჩევა მისცა... გაანადგურონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ლი ძუნ-ჟენი დიდი სპეციალისტია. იგი იყო, რომ 1927 წელს როგორც ჩან კაი-შის ხელქვეითმა მოსსპო მრავალი ათასი ჩინელი კომუნისტი; 1936 წელს ხელმძღვანელობდა კომუნისტებისა და დემოკრატების დათრგუნვას გუანსის პროვინციაში; 1941 წელს იყო მთავარსარდალი ეგრეთწოდებული ანტიკომუნისტური არმიებისა, მოღალატურად რომ დაესხნენ თავს ამ ჯარებს, რომლებსაც ჩინეთის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა; 1945-1948 წლებში იყო უფროსი ჩანკაიშისტური მთავარბანაკისა პეკინში და ხელმძღვანელობდა ბრძოლებს სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წინააღმდეგ. ყველა ამ „დამსახურების“ გამო მან მოიპოვა განსაკუთრებული ნდობა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩისა ჩინეთში სტიუარტისა, რომელიც დაეხმარა მას ამერიკის შეერთებულ შტატებში გაქცეულიყო. მემთხვევით კი არ არის, რომ ჩინეთის კომპარტიის მიერ 1948 წელს გამოქვეყნებულ სამხედრო დამნაშაულების სიაში ლი ძუნ-ჟენის სახელი მოხსენებულია ჩან კაი-შის და იმ სამი სხვა ოჯახის მეთაურთა სახელებთან ერთად, რომლებმაც დაამყარეს ჩინეთში სისხლიანი დიქტატურა კომპრადორული ბურჟუაზიისა, უცხოელ იმპერიალისტებს რომ ემსახურებოდა.

ახლა ბატონი ლი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გამოდის რეკომენდაციებით რევოლუციური მოძრაობის საკითხებზე. მაგრამ ეს რეკომენდაციები საკმაოდ უცნაურად მოჩანს. განაცხადა რა, რომ იმპერიალიზმზე გული გაუტყდა, ორატორმა ერთბაშად გააკეთა ვოლტი 180 გრადუსზე და საკმაოდ გასაგებად თქვა, ჩინეთისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებითად არაფითარი პრობლემები არ არის, გარდა ტაივანის პრობლემისა, რომლის გადაჭრა, თუ სურვილი იქნა, ჩანკაიშელებთან მორიგების გზით შეიძლებაო.

როგორც ვხედავთ, ბატონ ლის პოლიტიკური პროგრამა შემოიფარგლება ორი მომენტით: კომუნიზმის მოსპობითა და იმპერიალიზმთან მორიგებით, თუმცა კიდევ რას შეიძლება მოველოდეთ ადამიანისაგან, რომლის შესახებაც ჩინელი კომუნისტები ამბობდნენ, ისეთი ადამიანები, როგორიც ლი ძუნ-ჟენია, „საამბოლოს ჰყიდიან“, „ადამიანებს ჩაგრავენ“, „მათ მხეცურად უსწორდებიანო“.

ერთი სიტყვით, კომუნიზმის ამ მტრისა და ჩინელი ხალხის მოღალატის პოზიცია გასაკვირველი არ არის. გასაკვირველია მხოლოდ ის, თუ როგორ შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ გაზეთმა „ჟენმინ ჟიბაომ“, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ, თავისი ფურცლები დაუთმო ადამიანს, რომლის ადგილი ისტორიის სანაგვეზეა.

Ი. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ.

„პრავდა“, 3/X.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲘᲡᲐ:

1. ᲜᲝᲓᲘᲐᲡ ვაჟა ალანის-ძეს — კულტურის რესპუბლიკური სახლის დირექტორს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲟᲘᲜᲘᲠᲘᲡᲐ:

1. ᲬᲘᲚᲝᲡᲐᲜᲡ აკაკი ბათლომეს-ძეს — ბათუმის № 1 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.
2. ᲧᲣᲚᲐᲫᲔᲡ გრიგოლ იოსების-ძეს — თბილისის № 32 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.
3. ᲧᲣᲠᲙᲐᲕᲐᲡ გიორგი ალექსანდრეს-ძეს—რუსთავის № 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘᲡᲐ:

1. ᲝᲧᲠᲝᲨᲘᲫᲔᲡ ალექსანდრე იასონის-ძეს — სურამის № 14 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.
2. ᲧᲘᲜᲫᲣᲢᲔᲡ მიხეილ ნიკოლოზის-ძეს — სურამის № 14 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘᲡᲐ:

1. ᲚᲝᲚᲣᲐᲡ კაპიტონ ესტატეს-ძეს — პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მომარაგება-გასაღების რესპუბლიკური კანტორის მმართველს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡᲐ:

1. ᲑᲐᲮᲣᲩᲘᲡ რუბენ კონსტანტინეს-ძეს — თბილისის № 6-პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.
2. ᲑᲐᲫᲐᲫᲔᲡ შალვა დოროთეს-ძეს — თბილისის № 38 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.
3. ᲑᲔᲠᲔᲯᲘᲐᲜᲡ იოსებ იოსების-ძეს — თბილისის მ. თოიძის სახელობის № 11 სამხატვრო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.
4. ᲑᲘᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ გრიგორ ანდრიას-ძეს — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის მასწავლებელს.
5. ᲑᲣᲠᲐᲫᲔ ნინო ერისტოს ასულ — ქუთაისის № 42 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.
6. ᲒᲕᲐᲚᲘᲐᲡ აკაკი ალექსის-ძეს — სურამის № 14 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.
7. ᲒᲝᲠᲒᲐᲖᲝᲕᲘᲡ რუბენ სერგოს-ძეს — გარდაბნის № 10 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.
8. ᲓᲘᲝᲜᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ ოქრო ივანეს-ძეს — თბილისის № 34 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.
9. ᲗᲝᲓᲝᲣᲐᲡ იპოლიტე ათანასეს-ძეს — სამტრედიის № 28 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.
10. ᲙᲘᲠᲗᲐᲫᲔᲡ შალვა იოსების-ძეს — ქუთაისის № 37 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორს.
11. ᲛᲐᲡᲮᲘᲚᲐᲫᲔᲡ ანატოლ ნიკოლოზის-ძეს — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორის მოადგილეს.
12. ᲞᲐᲞᲐᲕᲘᲐᲜᲡ დავით ბაგრატის-ძეს — თბილისის № 32 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.
13. ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔᲡ ოთარ აკაკის-ძეს — თბილისის № 18 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილეს.
14. ᲪᲘᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ივანე დიმიტრის-ძეს — ქუთაისის № 4 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.
15. ᲧᲯᲐᲠᲔᲚᲐᲡ აკაკი ალექსანდრეს-ძეს — თბილისის № 32 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის თანაშეგზეს.
16. ᲧᲯᲘᲐᲡ დიმიტრი მიხეილის-ძეს — წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘᲡᲐ:

1. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡ კონსტანტინე სევერიანეს-ძეს — თბილისის № 32 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.
2. ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔᲡ ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს, წულუკიძის № 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროს ოსტატს.
3. ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ ვახტანგ ივანეს-ძეს — თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის ოსტატს.
4. ᲛᲐᲯᲐᲠᲐᲫᲔᲡ დავით ივ

დიღმის ზვრების ბარაქა

□ დიღმის სასწავლო საცდელმა საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა წლიური გეგმა □ მოკრეფილია 800 ტონა ყურძენი. ნაცვლად 713 ტონისა.

რაჟდენთელის, განჯურის, შასლას მტევნებს ქარვისფერი დასდებია. მეურნეობის მუშები, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები ზვარში ტრიალებენ, კრეფენ ყურძენს, ვაკეცავენ ყურძნით სავსე გოდრებს ავტომანქანაზე ტვირთავენ და დანიშნულებისამებრ გზავნიან.

წელს ყურძნის უხვი მოსავალია, — განაცხადა საუბარში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო საცდელი საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა **პ. სოხაძემ.**

მეურნეობის პირველ აგროგანყოფილებაში (უფროსი **დ. გაბრიჩიძე**) გეგმით ყურძენი 370 ტონა უნდა მოეკრიფათ, უკვე მოკრეფილია 400 ტონაზე მეტი, განსაკუთრებით კარგად მუშაობს ბრიგადა, რომელსაც **რ. ყარანგოზიშვილი** ხელმძღვანელობს.

გუშინ ამ ბრიგადაში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებმა **კ. მალლაკელიძემ, ა. დგებუაძემ, ე. მაკარაშვილმა, დ. კეთილაძემ, ც. სუბელიანმა,** მეურნეობის მუშებმა **შ. ნიკლაურმა, ს. ვახტანგაშვილმა, ტ. ვალიკოვმა** წლიური გეგმის ზვით 27 ტონაზე მეტი ყურძენი მოკრიფეს. აქ საშუალოდ ჰექტარზე 55 ცენტნერის ნაცვლად 100 ცენტნერ ყურძენს კრეფენ.

მეურნეობაში ამაყობენ მეორე აგროგანყოფილების (უფროსი **რ. დუშიანიძე**) მუშაობით. ამ უბნის იმ ბრიგადების ვენახებში, რომელთა ხელმძღვანელები არიან **ო. ჭოკოსაძე** და **დ. ეჭსეულიძე,** ჰექტარზე საშუალოდ 95 ცენტნერ ყურძენს იღებენ. ეს გეგმას 20 ცენტნერით სჭარბობს.

მოსავალი ყველგან უხვია. აქაური ყურძენით ტაბებიან თბილისის მშრომელები. მწონავი **ლ. თურმანიძე** ყურძნის აწონას ვერ ასწრებს, ხოლო მანქანის მძღოლი **ა. ვალოდინი** — მოსავლის გადატანას. ასეთი სიუხვე იმის შედეგია, რომ წელს მეურნეობაში ვაზს მზრუნველი ხელი არ მოჰკლებია, დროზე მორწყა, გაითოხნა, შეიწამლა, სასუქებიც დროულად შეიტანეს, ბეჯითმა შრომამ დიღმელები გაახარა. ყურძნის ეს მოსავალი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებმა მოიყვანეს.

ვაზის ყოველდღიური მოვლა სტუდენტებმა ითავეს და ეს სამუშაოები სასწავლო პრაქტიკის გავლის პერიოდში შეასრულეს და ახლა, როდესაც მოსავლის აღებაზე მიდგა საქმე, თავს არ ზოგავენ, შუშაობენ გულისხმიერად და ენერგიულად, უხარიათ, თავიანთი შრომის ნაყოფს რომ ხედავენ.

მეურნეობის უფროსი მედგინე ი. ჯავშანაშვილი.

შრომის ფერხულში ჩაბმული არიან მეურნეობის მუშები და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები. ისინი მიღწეულს როდი სჯერდებიან. მათი პირობაა სეზონის დამთავრებამდე წლიური გეგმის ზვით მოკრიფონ და სახელმწიფოს მიპყიდონ 250 ტონა ყურძენი.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიღმის სასწავლო საცდელ საბჭოთა მეურნეობაში ყოველდღე იკრიფება დაშაქრული ყურძენი — დედაქალაქის შრომელთა სუფრის მშვენება.

შ. ჭოჭუა.

სურათზე: დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ვენახში. (მარჯვნიდან): აგრონომ-ენტომოლოგი **ციალა გაბაბაძე,** მეურნეობის დირექტორი **პეტრე სოხაძე,** აგრონომ-ბრიგადირი **რევაზ უარანგოზიშვილი,** მკრეფავები **ნინა მურადოვა** და **ნანა ნიორაძე.**

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

საქართველო ეთერში

საბჭოთა რესპუბლიკების რადიოფესტივალი

მოსკოვში გრძელდება საბჭოთა რესპუბლიკების რადიოფესტივალი, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 48-ე წლისთავისადმი.

6 ოქტომბერს ეთერში იქნება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გადაცემები. მათში აისახება საბჭოთა საქართველოს ეკონომიური და კულტურული მიღწევები.

რადიოჟურნალში — „ჩვენი სოფელი", რომელიც გადაიცემა 7 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით, მოთხრობილი იქნება საქართველოს მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობაზე, წლევანდელ უხვ შემოდგომაზე, სოფლის წარჩინებულ ადამიანებზე.

18 საათსა და 20 წუთზე გადაიცემა პროგრამა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. რთველს ეძღვნება რადიონარკვევი „იქ, სადაც რბის ალაზანი". კოლხეთის დაჭაობებული მიწების ათვისებაზე მოგვითხრობს გადაცემა „ჩვენი დღეების არგონავტები". „დიდი ცვლილებები" — ასე ეწოდება საქართველოს რადიოს კორესპონდენტის ნაამბობს ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაზე. 10 საათსა და 30 წუთზე გადასცემენ ნარკვევს „სვანეთის მთებში". ამ ნარკვევით მსმენელები გაეცნობიან გაბახლებული სვანეთის ცხოვრებას. ნარკვევი — „ახალი ქალაქის დაბადება" ეძღვნება მადნეულის საბადოებს, გეოლოგთა თავდადებულ შრომას. საქართველოს მრეწველობის მიერ შვიდწლიანი გეგმის შესრულებაზე მოგვითხრობს გადაცემა — „მიკროფონით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში".

საკავშირო რადიოს პირველ, მეორე და მესამე პროგრამებით მოეწყობა აგრეთვე მრავალფეროვანი მხატვრულ-მუსიკალური გადაცემები.

მისაგაძია!

ბიათურაში დამთავრდა ჯართის შეგროვების ერთთვიური. ცალკეულ მაღაროთა კომკავშირელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეტი ჯართის შეგროვებაში.

საუკეთესოდ იმუშავეს კალინინის სახელობის მაღაროსა და ქალაქის მეოთხე საშუალო სკოლის კომკავშირელებმა. შეჯიბრებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა და ამის მეოხებით ჯართის მიმღებმა პუნქტმა ერთთვიურის განმავლობაში ჯართის მთელი წლისათვის გათვალისწინებული რაოდენობა მიიღო და გადაამეშავა. („კომ." **კორ.**).

ჩემპიონის უპირატესობით

ბრიგა. 4 სექტემბერი. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). პრეტენდენტი **ა. კუშნირი** ჯერჯერობით ძალიან ცუდ შედეგებს აღწევს იმ პარტიებში, სადაც იგი თეთრებით თამაშობს. აღრინდელ სამ პარტიაში თეთრებით მან მხოლოდ ნახევარი ქულა მოაგროვა.

ეს ვითარება არც დღევანდელ მეშვიდე პარტიაში შეცვლილა. პრეტენდენტმა, როგორც ყოველთვის, ლაზიერის წინა პაიკით დაიწყო თამაში. ამჯერად დაფაზე შეიქმნა მეტად მწვავე პოზიცია, სადაც თეთრებს ცენტრში გამსვლელი პაიკი ჰყავდათ, შავებს კი — ზედმეტი პაიკი ლაზიერის ფრთაზე. ასეთ პირობებში უპირატესობას ის აღწევს, ვინც პირველი ეუფლება ინიციატივას. მსოფლიოს ჩემპიონმა სწრაფად დაამთავრა ფიგურების განვითარება და ჭზა გადაუღობა თეთრების გამსვლელ პაიკს.

გამორკვა, რომ დებიუტის შედეგად ა. კუშნირმა ვერ მიაღწია უპირატესობას. უფრო მეტიც, მას არ ჰქონდა აქტიური ოპერაციების წარმოების საშუალება, მაშინ როდესაც ჩემპიონი მეთოდურად და ძლიერად თამაშობდა ლაზიერის ფრთაზე.

ა. კუშნირი მდგომარეობის გამოსწორებას ფიგურების გაცვლით შეეცადა. მაგრამ მისი პოზიცია ამით არ გაუჯობესებულა. მალე ნ. გაფრინდაშვილმა მოიგო ცენტრალური პაიკი და ბრძოლა გადავიდა ენდშპილში, სადაც შავებს მატერიალური და პოზიციური უპირატესობა ჰქონდათ.

მსოფლიოს ჩემპიონმა კარგად წარმართა დამოლოება. ფიგურების თვალსაჩინო გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაფაზე წარმოიქმნა ეტლების ენდშპილი. შავებს ზედმეტი გამსვლელი პაიკი ჰყავთ.

მართალია, გადადებულ პარტიაში ხანგრძლივი ბრძოლაა მოსალოდნელი, მაგრამ შავების უპირატესობა ეჭვს არ იწვევს.

გ. გამრეკელი.



a b c d e f g h

თეთრები: ა. **კუშნირი:** მფg2, ეa3, პ-ბი: f3, f5, g4 (5)

შავები: ნ. **გაფრინდაშვილი:** მფh7, ეc4, პ-ბი: a4, f7, g7, h6 (6)

შავებმა ჩაიწერეს 42-ე სვლა.

მეშვიდე პარტია

ა. კუშნირი-ნ. გაფრინდაშვილი.

ლაზიერის მიღებული გამბიტი.

1. d4 d5 2. c4 dc 3. ♘f3 ♘f6 4. ♗e3 c5 5. d5 ♗f5 6. ♕a4+ ♗bd7 7. ♕:c4 e6 8. e4 ed 9. ed ♗d6 10. ♗g5 0—0 11. ♗e2 h6 12. ♗h4 a6 13. 0—0 b5 14. ♕b3 ♗e8 15. ♕d1 ♕c7 16. ♗g3 ♗:g3 17. hg ♕d6 18. ♘h4 ♗h7 19. ♗d3 b4 20. ♗:h7+ ♔:h7 21. ♘a4 ♕:d5 22. b3 c4 23. bc ♗:c4 24. ♕b1+ ♔e4 25. ♘f5 ♕:b1 26. ♖:b1 ♗d5 27. ♘b2 ♗e7 28. ♗d3 ♗a5 29. a3 ♗c3 30. ♘c1 ba 31. ♗b5 ♗fc8 32. ♗e2 ♗3c5 33. ♗:c5 ♗:c5 34. ♗:a3 ♗7b6 35. ♗d6 ♗g6 36. ♗f4+ ♗:f4 37. gf a4 38. f5+ ♔h7 39. g4 ♗c1+ 40. ♔g2 ♗c4 41. ♗:c4 ♗:c4 42. f3 ♗c7 (ამ ადგილზე ოთხ ქულიანი ფრაა).

ერევნის საერთაშორისო ◆ ოთხმეტი ტურის შემდეგ

ერევნის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამამდა მეთერთმეტე ტური. ძლიერად ჩაატარა პარტია სსრ კავშირის ჩემპიონმა ვ. კორჩნოიმ ჩეხოსლოვაკიელ მ. ფილიპთან. თუმცა პარტია არ დამთავრებულა, მისი შედეგი ექვს არ იწვევს, ლიდერს უთუოდ მოსაგები პოზიცია აქვს.

ლ. შედეგა მოუგო ე. მნაცაკანიანს. ყაიმით დამთავრდა ვ. ლიბერზონ — ი. ავერბახის, რ. ფუქს — ვ. შტალბერგის, ლ. პორტიშ — ი. ნეის, ა. მატანოვიჩ — ბ. შაშინისა და ლ. შტეინ — ტ. პეტროსიანის შეხვედრები.

თერთმეტი ტურის შემდეგ ტურნირს კვლავ ვ. კორჩნოი ლიდერობს. მას 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს. 7-7 ქულა აქვთ ტ. პეტროსიანს, ლ. შტეინსა და ვ. ლიბერზონს, 6 ქულა — ლ. პორტიშს.

◆ ორმოცდაათიათასმა

ორმოცდაათიათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი კვირას ქ. პირის „ქარაისკასის" სტადიონზე, სადაც მსოფლიოს პირველობის შესარჩევ მატჩში სსრ კავშირისა და საბერძნეთის ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს.

მატჩისადმი ინტერესი დიდი იყო. ბერძენი სპეციალისტები და თვით ფეხბურთელებიც კი მხოლოდ ოქტომბისტურ განცხადებებს აკეთებდნენ. „ჩვენ გავიმარჯვებთ" — ასეთი იყო ბერძნული პრესის საერთო რწმენა.

მაგრამ გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა და მეტად დამაჯერებელი ანგარიშით 4:1. ეს გამარჯვება იმით არის მნიშვნელოვანი, რომ საბჭოთა ფეხბურთელებს ფაქტიურად განადგურებული აქვთ ლონდონის საგზურები. ოთხი თამაშიდან 8 ქულა; ეს საკმარისია იმისათვის, რომ უკვე დღეს იქნას შეკეთილი ბილეთები დიდი ბრიტანეთის კუნძულებისაკენ. მხოლოდ დანიას შეუძლია დააგროვოს 8 ქულა და კონკურენცია გაუწიოს ჩვენს გუნდს, მაგრამ ეს მხოლოდ თეორიული შესაძლებლობაა.

ახლა მატჩის შესახებ, როდესაც მოწინააღმდეგენი მოედანზე გამოვიდნენ, თერმომეტრი მზზე 30 გრადუს სიცხეს აჩვენებდა. მიუხედავად ამისა, ტემპი თავიდანვე მაღალი იყო. მასპინძლები ინიციატივას დაეუფლნენ, მაგრამ ეს უპირატესობა მხოლოდ თხუთმეტ წუთს გაგრძელდა. ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს ბერძენთა კარში 11-მეტრიანი სჯარიმო ინიშნება. მეტრეველის დარტყმა მარკვენა დაბალ კუთხეში, ზუსტია — 1:0.

25-ე წუთზე მეტრეველი შესანიშნავად გადის მარკვენა ფლანგზე და ბურთს ბანიშევსკის აწვდის. ნაკრების დებიუტანტი შეუჩერებლივ აგზავნის მას კარში — 2:0. ორი წუთის შემდეგ მასპინძელთა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელი პაპაიანუ სარგებლობს ჩვენი მცველებისა და მეკარის შეუთანხმებლობით, ატყუებს იაშინს და ბურთს ცარიელ კარში გზავნის — 2:1.

შეხვედრის მეორე ნახევარი ელადელმა ფეხბურთელებმა მძაფრად დაიწყეს. ისინი განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ ამაოდ. დამაჯერებლად თამაშობენ ჩვენნი მცველები, რამდენიმე ძნელ ბურთს იგერიებს იაშინი. 59-ე წუთზე 19 წლის ბაქოელი ბანიშევსკი ბრწყინვალედ ატყუებს რამდენიმე მცველს, მეკარეს და ანგარიში 3:1 ხდება. ეს უკვე გამარჯვებაა, თუმცა მეტრეველი და ბანიშევსკი (ისინი უდავოდ საუკეთესონი იყვნენ გუნდში) მაინც ამბობენ ელდეგ ერთ და უკანასკნელ სიტყვას ამ მატჩში. მარჯვენა გარემარბის ჩაწოდებას კვლავ შესანიშნავად იყენებს ახალგაზრდა ცენტრფორვარდი — 4:1.

მაყურებლები ტაშით აციალებენ გამარჯვებულებს.

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: **იაშინი, პონომარიოვი, ხურცილავა, შესტერნოვი, დანილოვი, ვორონინი, საბო, მეტრეველი, კაზაკოვი, ბანიშევსკი, ხმელნიცკი.**



მატჩები და შედეგები

პირველი ჯგუფი

კვირას გაიმართა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

ოდესაში ადგილობრივი სკა დამარცხდა ბაქოს „ნეფტიანიკთან" შეხვედრაში — 0:1.

მოსკოვის „სპარტაკისა" და როსტოვის არმიელთა ორთაბრძოლა, ფრედ დედაქალაქში გაიმართა, დამთავრდა ფრედ — 1:1.

მეორე ჯგუფი

აი იმ თექვსმეტი გუნდის შეხვედრათა შედეგები, რომლებიც „ა" კლასის პირველ ჯგუფში გადასვლისათვის იბრძვიან:

„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „შინაკი" (იაროსლავლი) — 2:0, „ოლიმპი" (გორკი) — „კირატი" (ალმა-ათა) — 1:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „კარპატი" (ლვოვი) — 2:0, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი)—„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — 4:1, „მანტორი" (ყარაგანდა) — „დაუგავა" (რიგა) — 3:0, „ტალგარისი" (ვილნიუსი) — „ტერეკ" (გროზნო)—0:0, „არარატი" (ერევანი)—„მოლდოვა" (კიშინიოვი) — 3:0, „ზარია" (ლუგანსკი) — „ავანგარდი" (ხარკოვი)— 2:0.

დღესასთვის გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია ერევნის „არარატი" — 24 ქულა.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ ᲔᲚᲐᲓᲐᲨᲘ

კვირას გაიმართა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

ოდესაში ადგილობრივი სკა დამარცხდა ბაქოს „ნეფტიანიკთან" შეხვედრაში — 0:1.

მოსკოვის „სპარტაკისა" და როსტოვის არმიელთა ორთაბრძოლა, ფრედ დედაქალაქში გაიმართა, დამთავრდა ფრედ — 1:1.

მეორე ჯგუფი

აი იმ თექვსმეტი გუნდის შეხვედრათა შედეგები, რომლებიც „ა" კლასის პირველ ჯგუფში გადასვლისათვის იბრძვიან:

„ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) — „შინაკი" (იაროსლავლი) — 2:0, „ოლიმპი" (გორკი) — „კირატი" (ალმა-ათა) — 1:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „კარპატი" (ლვოვი) — 2:0, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი)—„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — 4:1, „მანტორი" (ყარაგანდა) — „დაუგავა" (რიგა) — 3:0, „ტალგარისი" (ვილნიუსი) — „ტერეკ" (გროზნო)—0:0, „არარატი" (ერევანი)—„მოლდოვა" (კიშინიოვი) — 3:0, „ზარია" (ლუგანსკი) — „ავანგარდი" (ხარკოვი)— 2:0.

დღესასთვის გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია ერევნის „არარატი" — 24 ქულა.

ᲬᲘᲜ Ი. ᲙᲣᲞᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

კვირას თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიმართა ასუკრედიან შაშში მსოფლიოს პირველობის მატჩის მესამე პარტია ვ. ზჩეგოლევსა და ი. კუპერმანს შორის. თეთრებით თამაშობდა პრეტენდენტი.

მსოფლიოს ჩემპიონმა შავებით როზენბუგრის სისტემა გამოიყენა და მე-6 სვლაზე ახალ გაგრძელებას მიმართა. ამან ი. კუპერმანს საშუალება მისცა განეხორციელებინა კომბინაცია და მატერიალური უპირატესობა მიეღო. ვ. ზჩეგოლევი შემდგომში ზუსტად იცავდა თავს და შეძლო თავი დაეღწია სიძნელეებისაგან. ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ მოწინააღმდეგენი 57-ე სვლაზე უაიმზე შეთანხმდნენ.

მატჩის ანგარიში გახდა 2:1 ი. კუპერმანის სასარგებლოდ. დღეს გაიმართება მეოთხე პარტია, თეთრებით მსოფლიოს ჩემპიონი თამაშობს.



სურათებზე: ზევით — ხმალკბილა ვეფხვი თავს ესხმის სპილოს; ქვევით — გიგანტური ირემი (აღდგენა აუგუსტასა და ბურიანის მიხედვით).

სქელკბილა ვეფხვი და გიგანტური ირემი

ამ ერთი თვის წინათ არქეოლოგმა კ. ფიცხელაურმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტს შეატყობინა, რომ სოფელ ზემო მელაანის (გურჯაანის რაიონი) მიდამოებში იქვე მცხოვრებ შაქრო ნათიძეს უნახავს გაბანძარხებული ცხოვნების ძვლები. მიღებული ცნობის შესამოწმებლად მელაანში გამგზავრა ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფი პროფესორ ლ. გამბაშიას ხელმძღვანელობით. ნამარხ ხერხემლიანთა ადგილსამყოფელის აღმოჩენა სავსებით დადასტურდა.

სოფლის გაბაპრას, შედარებით მცირე მოედანზე, ტბიურ ნალექებში მოქცეულია დღეისათვის ამობეჭდარ ძუძუმწოვართა ნამთების დაგროვება, რომელსაც სამართლიანად შეიძახეს ეწოდოს „ცხოველთა სასაფლაო". უკვე დაზვერვითმა გათხრებმა გამოაელინა საკმაოდ მდიდარი და პალეონტოლოგიისათვის სასარგებლო მასალა. ნამარხი ძვლების წინასწარმა შესწავლამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ ზემო მელაანის ხერხემლიანთა ადგილსამყოფელი წარმოშობილია მეოთხეულის დასაწყისში, დაახლოებით მილიონნახევარი წლის წინათ. ამ დროს კახეთის ტერიტორიაზე უცხოვრიათ ცხოველებს, რომელთა უმრავლესობა დღეს ამობეჭდარია. ამათგან აღსანიშნავია პირველყოფილი ძროხა, ანტილოპა, გიგანტური ირემი, ხმალკბილა ვეფხვი და სხვ.

მელაანში მოპოვებულ ძუძუმწოვრებს შორის ყველაზე საინტერესო, უდავოდ, ხმალკბილა ვეფხვია. დღემდე ეს ნამარხი ცხოველი ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არავის აღუნიშნავს. ადრე მეოთხეულში (პლეისტოცენში) ევრაზიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა მეტად ძლიერი მტაცებელი მახაიროდუსი, რომელსაც დიდი ბრტყელი და დაკბილული, ხმლის ფორმის ეშვების გამო ხმალკბილა ვეფხვს ეძახიან. ეს მტაცებელი ძირითადად ანტილოპებზე და ირემებზე ნადირობდა, მაგრამ იშვიათ შემთხვევებში სპილოებსა და მარტორქებსაც ესხმოდა თავს.

ზემო მელაანის ფაუნის მეორე საინტერესო წარმომადგენელია გიბანტური ირმები, რომელსაც ვეებერთელა, თითქმის სამ მეტრამდე, გაშლილი რქები ჰქონდა. ამით იყო გამოწვეული, რომ ეს ცხოველი ტყიან ადგილებს ნაკლებად ეტანებოდა: გრძელი და გვინიერი რქების პატრუნს უჭირდა ტყეში მტაცებლებისაგან თავის დაღწევა. ირმების ეს მეტად ლამაზი და თავისებური წარმომადგენელი მეოთხეული პერიოდის პირველ ნახევარში ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ტერიტორიაზე. გიგანტური ირმების ნაშთები ნაპოვნია ახალქალაქის, ქვემო ქედის და ახლა ზემომელაანის მიდამოებში და ჯრუჭულას (საჩხერის რაიონი) ქვის ხანის ადამიანის ნასუფრალ ძვლებს შორის.

მელაანის მიდამოებში აღმოჩენილ ფაუნას დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ საქართველოს მეოთხეულის პალეოგეოგრაფიული სურათის აღდგენისათვის და სტრატიგრაფიის დაზუსტებისათვის.

მიმდინარე წელს პალეობიოლოგიის ინსტიტუტს გაანზრახული აქვს მოახდინოს გათხრები ზემო მელაანის მიდამოებში, სადაც კიდევ ბევრი საინტერესო მასალის პოვნაა მოსალოდნელი.

ა. ვეკუა,

გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

„ცხოველთა სასაფლაო" მელაანში

შემთხვევა რკინიგზაზე

სიფხიზლე

მთელი ღამე რკინიგზაზე მატარებლები მშვიდობიანად მიმოდიოდნენ. მხოლოდ ღამის 3 საათზე დაირღვა ავტობლოკირების აპარატურის ნორმალური მოქმედება რიონ-ჯამეთის გადასარბენზე. ჯამეთის რკინიგზის სადგურის მორიგემ ლ. კლდიაშვილმა ამის შესახებ სასწრაფოდ შეატყობინა ელექტრომექანიკოს მ. ტყავაძეს. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, საჭირო იყო სწრაფი მოქმედება. ელექტრომექანიკოსი გაეშურა შემთხვევის ადგილისაკენ. დანადგარების გულდასმით გასინჯვის შედეგად მან აღმოაჩინა, რომ აღნიშნული გადასარბენის 2294 კილომეტრზე გატეხილიყო რელსი. ტყავაძემ საშიში ადგილი შეზღუდა ამკრძავი სიგნალებით, შემდეგ მიირბინა იქვე ახლოს მოთავსებულ ლიანდაგის გადასასვლელის მორიგის ჯიხურში და ტელეფონით აცნობა რიონის რკინიგზის სადგურში გზის ოსტატს ბ. საყვარელიძეს.

სულ მალე მეკავშირისა და მელიანდაგეთა ურთიერთდახმარებით გატეხილი რელსი შეცვალეს და კვლავ გაიხსნა „მწვანე ჭუჭა" მატარებელთა მოძრაობისათვის.

ვ. მაისურაძე,

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კავშირგაბმულობის სამსახურის ინჟინერი.

ფოტოინფორმაცია

ნავი გზატკეცილზე

ქალაქ ჩებოქსარის ქუჩებში ხშირად ნახავთ თვლებიან ნავებს. ისინი ჩერდებიან შუქნიშნებთან, შემდეგ კი უერთდებიან ავტომობილების საერთო ნაკადს და მოძრაობენ მათთან ერთად, ამასთან არ ჩამოუვარდებიან მათ არც სიჩქარესა და არც მანევრულობაში. მაგრამ მოტორნავების სტიქია მაინც წყალია.

ჩებოქსარში პირველი ავტომოტორნავი გააკეთა ელექტრომექანიზმების ქარხნის ინჟინერმა ლეონარდ დუბინინმა. ნავი ფრიად მოხერხებული აღმოჩნდა მოგზაურობისა და საოჯახო გასეირნებისათვის. მის შემდეგ სწრაფად იწყო ზრდა ამ თვითნაკეთი „ამფიბიების" რიცხვმა. აწყობისას მათ ბაზად იყენებენ ალუმინის ჩვეულებრივ ნავს, რომელიც სპორტული საქონლის მაღაზიებში იყიდება, ზედ დგამენ მოტოროლერ „ტულა-200"-ის მზა კვანძებსა და ძრავას, „მოსკვას" მარკის დასაკიდ მოტორს.

ნავი წყალთან რომ მივა, უკანა საკიდის ადგილზე დგამენ „მოსკვას" მარკის მოტორს. ამ ოპერაციას სჭირდება სულ ბევრი ხუთი წუთი, და „ამფიბია" მზად არის წყალში შესაცურებლად. წყალში მისი სიჩქარეა 28 კილომეტრი, გზატკეცილზე — 45.

ცხადია, „ამფიბიების" პატრონებს უნდა ჰქონდეთ შოფრისა და მოტორიანი ნავის მძღოლის უფლებები.

• • •

სურათზე: მარცხნივ — „ამფიბია" ქალაქ ჩებოქსარის ერთ-ერთ ქუჩაზე; მარჯვნივ — უკანა საკიდის ადგილზე ახლა დადგამენ „მოსკვას" მარკის მოტორს და „ამფიბია" წყალში შეცურდება.

ფოტო **ვ. ისაევისა.**

(ასს).

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-98-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-98, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურა-რეხა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-68, წერილების — 9-78-21, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-98-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УФ 12222

სკ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის კ. № 14.

კატარის ვირუსი

ვირუსების დიდი და მრავალფეროვანი სამყარო მკვლევარებისათვის ზელმისაწვდომი გახდა ას შემდეგ, რაც 1933 წელს ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით პირველად მოხერხდა გრიპის ვირუსის დანახვა. ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა გრიპის ვირუსების განსხვავება იმ ვირუსებისაგან, რომლებიც ზედა სასუნთქი ორგანოების კატარს იწვევენ. დ. ი. ივანოვსკის სახელობის ვირუსოლოგიის ინსტიტუტში მთელი წლები მობმული კატარების ვირუსთა თავისებურებების შესწავლას, ყოველმხრივ კვლევას ეწევიან არა მარტო ლაბორატორიებში, არამედ კარგად აღჭურვილ კლინიკაშიც.

ცნობილია, რომ ვირუსი, რომელიც ზედა სასუნთქ ორგანოებს აზიანებს, ლორწოვანი გარსის უჯრედებში გროვდება. მას ალმოაჩენენ ხოლმე მაფლორესცირებელი (მნათი) ანტისხეულების დახმარებით. აშრ-ისათვის იყენებენ გრიპის პარაგრიპის ვირუსებს, ადენოვირუსების საწინააღმდეგოდ სპეციალურად მომზადებულ შრატებს.

დაავადებულის ცხვირიდან იღებენ ნაცხებს და თვითეულ ნაცხზე დაუწვეთებენ სამი შრატიდან ერთ-ერთს. შემდეგ ამ პრეპარატებს სინჯავენ ლუმინესცენტურ მიკროსკოპში. თუ ავადმყოფს სასუნთქ ორგანოებში ადენოვირუსები უგთთარდება, მკფიოდ ხათებას იწყებენ იმ უჯრედების ბირთვები, რომლებზეც ადენოვირუსის შრატია. ასეთი შედეგის მიღება შეიძლება ნაცხის ალებიდან სამი საათის გავლის შემდეგ. ზედა სასუნთქი ორგანოების კატარების შესწავლისას კლინიკაში გამოიყენეს, რომ მათ იწვევენ მხოლოდ და მხოლოდ ვირუსები, რომლებიც არა მარტო აზიანებენ საფარველის უჯრედებს, არამედ შეუძლიათ მოხვდნენ სისხლშიც და გავრცელდნენ ორგანიზმში. კატარ ასუსტებს ადამიანს, ამცირებს მის დამცველ ძალებს და შეუძლია გამოწვიოს წონა დაკვდება, გამოიწვიოს სხვადასხვა გართულება.

ექსპერიმენტული ქიმიოთერაპიის სპეციალურად შექმნილ ლაბორატორიაში გრძელდება სპეციფიკური სამკურნალო პრეპარატების ძიება. ვირუსების ნუკლეინის მჟავათა წინააღმდეგ მეცნიერები სცდიან სხვადასხვა ნივთიერებებს და, კერძოდ, მათს დამშლელ ფერმენტებს — ნუკლეაზებს.

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

□ საბჭოთა ფეხბურთელების მომავალმა მეტოქემ მსოფლიოს პირველობაზე უელსის გუნდმა თავის მოედანზე ფრედ — 0:0 ითამაშა ინგლისის ნაკრებთან.

□ პარიზში „კოლომბის" სტადიონზე დამთავრდა სსრ კავშირისა და საფრანგეთის მძლეოსანთა ვაჟთა ამხანაგური შეხვედრა. ორი დღის ბრძოლის შედეგია 120:92 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

□ თორმეტი ოქროს (თხუთმეტიდან), შვიდი ბრინჯაოსა და 6 ვერცხლის მედალი — ასეთია საბჭოთა ტყვიიათმსროლელთა ნადავლი ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც კიიროში დამთავრდა.

□ დაიწყო კიდევ ერთი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მოჭადრაკეებმა ამჯერად დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში შეიკრიბნენ. ასპარეზობაში მონაწილეობენ გროსმაისტერები ბ. ტაიმანოვი, ა. სუეტინი, ს. გლიგორიჩი, ბ. ლარსენი და სხვა უძლიერესი ოსტატები.

□ მსოფლიოს უძლიერესი კრონსმენის გვერდვენი საბჭოთა მოტოციკლისტა ვ. არბეკოვმა მოიპოვა, ხანგრძლივ და მრავალტაპიან მსოფლიოს ჩემპიონატში მან 52 ქულა დაგროვა.

ᲩᲕᲔᲜ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ, ᲩᲕᲔᲜ ᲥᲝᲕᲘᲡᲔᲘᲠᲗᲨᲘ

თეატრები